

საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობიც ბეჭდუდი სიფყვას, ცყდილებით და ჭაბჭობით ბუბთის გაღვანა ყველა უკადრისმბაჭე უსამაგლესია.



ოთხშაბათი, 6 იანვარი. 2016 წ. №2 (7894), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

ამაზე მკასრი ზამთარის გადაბვიტანია!



დიდთოვლობის შედეგად დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ შეხვედრა გამართა. იგი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდა.

მნილი პრობლემებისა და მათ აღმოსაფხვრელად მიმდინარე ღონისძიებებზე ინფორმაცია მოისმინა.

პრემიერ-მინისტრის დაავალებით, ვითარების ადგილზე გასაცნობად დასავლეთ საქართველოში მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ამაშუკელი გაემგზავრა.

რეგიონში ასევე იმყოფებიან ენერჯეტიკის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების და ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები.

უხვმა ნალექმა აჭარის, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის გარკვეული რაიონები დააზარალა.

მს. 2 გვ



ოსებს ჰპონიანთ, საღას ჟი პლანს გაუპლინ, იმ ყველგან ოსეთია...

ღარიბაშვილი ოჯახმა და სანათესაოთ დაღუპა?

რატომ ღუგან გაქვირებული სიბარბის იმპორტიორები?



პუბლიცისტის ტრიბუნა

2

თოვს თუ ყინავს...

სულ ივანიშვილის ბრალია

ღვინო სარგებელ არს ცხოვრებისა და შუეხაი სულისა...

7



დიღბანთიში პოლიტიკაჟის დამღუპველია

8

ყარსის ხელშეკრულება საფრთხობელა არ არის!



უხვოპრი პალუტის კორსი:

პუუ ღოლაპრი - 2.405; პპრო - 2.624;
ბრიტანული ბირჟანა სტარლინი - 3.558;
100 რუბლი - 2.29; თურქული ლირა - 0.82;
პუბრბაიჟანული მანათი - 1.543;
1000 სომხური ღრამი - 4.974

აიონლი 6 იანვრისთვის

ალეონაპლეთ სპარტოველო:
ბარი - ღაპი -5, ღღი +12
პითანი რაიონევი - ღაპი -6, ღღი +8
ღანაპლეთი სპარტოველო:
ბარი - ღაპი +2, ღღი +11
პითანი რაიონევი - ღაპი -4, ღღი +7
თბილისი: ღაპი 0, ღღი +9

ღანანი ვინაპარტია:

თბილისი,
მანაპლინ ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

© ისევ და ისევ ჩვენი პედნიერი ეროვის გამო

თოვს თუ ყინავს... სულ ივანიშვილის ბრალია

რად ბროს შექსპირია, ბატონო, და რა-
და ბროს იმისი ყოფნა-არყოფნა, ახლა ამ
გასოციალიზმებულ კაპიტალიზმში თუ გა-
კაპიტალიზმებულ სოციალიზმში მთავარია
ყოფნა თუ ქონა... როგორც იტყვიან, ნამდ-
ვილად შედგამოჭრილია ამ ჩვენს ანენილ-
აბურდულ ბროსში. თუ უქონელი, უპოვო-
რი და ჯიბედაცხვევებული ხარ, ცარიელი
ყოფნა რას გარგია. დაადე პირი და გაიშ-
ვირე ხელი. ვინმე ღვთისნიერი ან პირში ჩა-
გიდებს რასმე ან ხელში.

ასე პირდაღებულნი და ხელგაშვრილი
ვლოდა საქართველოს მოსახლეობის უმე-
ტესი ნაწილი წლების მანძილზე სადღაც
მეცრე ცის ქათქათა ღრუბლებში მამაზე-
ციერით უნილაგ-უნიანარ ბიძინა ივანიშ-
ვილს, რომელმაც ისე, რომ ცხადად არ გა-
მოჩენილა, ბევრს დაღებულნი ამოუფ-
სო, ბევრსაც გაშვრილი ხელი... და, ბოლოს,
როგორც იქნა, გამოჩნდა კიდევ, და მადა
ჭამაში მოდისო, სწორედ ისე მოხდა დამ-
შვულ და კარგა გვარიანად მინგრეულ-მონ-
გრეულ საქართველოში.

ეგრე არ გამოვა, ბატონო ბიძინაო, თუ გა-
ცემა გაცემა იყოსო, მით უმეტეს, რასაცა
გაცემ შენია, რასაც არ გაცემ, დაკარგუ-
ლიაო... და მთელი საქართველო ყველა დო-
ნის ღარიბ-ღატაკი თუ შავი დღისთვის ქო-
ნებაგადანახული მავანი ქვანარშია მოქალა-
ქე, მეტადრე კი პოლიტიკის გამაბიზნესე-
ბლები უკვე კატეგორიულ მითხოვნაზე გა-
დავიდნენ: ბატონო ბიძინა ივანიშვილო, კე-

დიდად სამწუნაროდ, თითქმის ისევე გამო-
იყურება, ისევე დიდად სამწუნაროდ, მტრის
არმცნობად და მოყვრის მგმობად დარჩა... და
ისევე ჩვენდა დიდად სამწუნაროდ, ეს გმობილი
მოყვარე, არა მარტო ჩვენდა სამწუნაროდ,
არამედ ჩვენდა დიდად სამარცხვინოდაც,
დიასაც ბიძინა ივანიშვილია, რომელიც, ბევრი
ფლიდის, ცუდლუტის, მანვიერის, ცბიერისა
და უსაქმურის აზრით (თუკი საერთოდ აზ-
რი გააჩნიათ?), ამჟამინდელი საქართველოს
ყველა უბედურების სათავეა.

ამ ფლიდებს, ცუდლუტებს, მანვიერებს, ცბი-
ერებსა და უსაქმურებს ყოველ ნაბიჯზე
შეხვედებით. განსაკუთრებით კი მთელი 24 სა-
ათი გველაპარაკებია ისინი „ცრუსთავი-2“-
ის „უზლუდო“ და „გზამრუდი“ ეკრანიდან...
აი, თუნდაც ამ დღეებში რომ აცივდა, უფრო
სწორად, ყინვები რომ დაიჭირა და ადგილ-
ადგილ კი გვარიანი თოვლი მოვიდა, თურმე
ბიძინა ივანიშვილის ბრალია; დიდთოვლო-
ბამ ვილაცხას სახლის სახურავი რომ ჩაუნგ-
რია, ისიც ბიძინა ივანიშვილის ბრალია;
სადღაც ავარია რომ მოხდა, ისიც; სტიქიამ
ელექტრობოძები რომ წააქცია და გურიაში
რამდენიმე სოფელი უშუქოდ დარჩა, ისიც;
რომელიღაც ფეხმძიმე ქალს აჭარაში მუცელი
რომ მოეშალა, ისიც; კახეთში სიმამრმა სიძე
სასიკვდილოდ რომ გაიშტა, ისიც ყველაფერს
რა ჩამოთვლის, ბატონო, ანდა მე რატომ უნდა
ჩამოვთვალო ყველა ის უბედურება, რაც ბი-
ძინა ივანიშვილმა დაატყნა საქართველოს,
როცა მხოლოდ და მხოლოდ ამ უბედურე-



თილი ინებე და ყოველი თვის ბოლოს ორი
ათასი თუ არა, ათასი დოლარი, კონტად
კონვერტში ჩადებულნი, მოგვართვით. მაგ-
რამ იმის გამო, რომ საქართველოში რო-
გორც ძალიან ბევრი რამ, არც ფოსტა არ
მუშაობს, ვიდრე ერთხელ ინებე კეთილი, ვი-
ლაც-ვილაცები ფოსტალიონებად დაასაქმე
და იმათი ხელით მოგვართვი ზემოსხენებუ-
ლი თანხაო, რაც ღმერთმა იმისთვის გაშო-
ვინა ავად არეულ რუსეთში, რომ ჩვენი
„ბედნიერი ერისთვის“ მოგვმარებინაო...

მაგრა, მოგვსხენებთ, წვიმა რომ წვი-
მაა, ისიც ვერ გასწვდება მთელ ქვეყანას,
არამცთუ ერთი მილიარდერის საღარო,
რომელიც, კოვზით დაღეული ზღვისა არ
იყოს, ცოტა-ცოტაობაში ისიც წელ-წელა
იღვავა და იფხიკება.

ჰოდა, თუ წვიმა, რაგინდ შხაპუნაც, არ
უნდა იყოს, მთელ ქვეყანას ვერა სწვდება,
ერთი, თუნდაც ისეთი მართლაც ღვთის-
ნიერი და მამულიშვილი მილიარდერი, რო-
გორც ბიძინა ივანიშვილია, როგორ გას-
წვდება ჩვენს ისედაც ბედნიერს ერს, მძიმე
ყალბით, ლამაზ ფალბით მორთულსა და
მშვენიერს, ქვემდრომელს, ვით ჯორ-ცხენს,
ნახენსა და ღონიერს, უნჯს, მუნჯს, თვა-
ლაბმულს, თავაკრულს, ყრუს, ცრუს,
ფლიდს, ცუდლუტსა და მანვიერს, ყოველად
უქმს, უდიერს, არგამბანს, ცბიერს, მტრის
არმცნობს, მოყვრის მგმობს, გარეთ
მხდალს, შინ ძლიერს, არრის მქონეს, არ-
რის მცოდნეს, უზრუნველსა და მშიერს...

ივანიშვილის დაბადებამდე თითქმის ასი
წლით ადრე ილიაჭავჭავაძისეულად და-
ნახული ეს ქართველობა არსად არ წასულა,

ტული მოძრაობის ხელმოცარული ხევისბერი
ნათელაანთ შალიკო, რომელსაც, როგორც ამ-
ბობენ, დუშეთიდან ცალკე საზი ჰქონია პირ-
დაპირ ოდესაში გაყვანილი.

ამ ცივ ზამთარს, ბუნებრივია, გაზაფხული
მოჰყვება, გაზაფხული წყადიდობებს მო-
იყოლებს. ასე რომ, 2016 წლის არჩევნებამდე
ისღა დაგვრჩენია, ჯერ საგაზაფხულო
ბრალდებებს დაველოდოთ, მერე სა-
ზაფხულოსა და საშემოდგომოს...

თოსი, ბარი, ცელი, ჩაქური და დაზა ალა-
რავის უნდა... ოფლის მომდინარე შრომა რა
ქართველის საქმეა აკი ამიტომაც სალაყ-
ბოს დაემსგავსა ოდენ პოლიტიკურ სარბი-
ელად გადაქცეული ჩვენი „ცა-ფირუზ, სმე-
ლეთ-ზურმუხტი“ საქართველო, რომლის
გაიბოლიტიკოსთა თითქმის მთელი შემად-
გენლობა (და არა მარტო ვაიბოლიტიკოს-
თა) ბიძინა ივანიშვილზე უსაგნო ლაყბო-
ბით არის დასაქმებული.

თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ლაყბობა საქმე
არ არის, ძალიანაც ცდებამოლაყბენი მთე-
ლი ქვეყნისა მოუწოდებლადაც უკვე შეერ-
თებული არიან ისევე და ისევე ამ ერთი „მე-
კულუარე“ ქართველის წინააღმდეგ... ის
თურმე სწორედაც კულუარებიდან ყინავს
და თოშავს ჩვენს ნაოცნებარ ცნოვრებს...

მოკლედ, სხვა გზა არ დაგვრჩენიათ, ეგ
ავად გაჭარბებული ენები საარჩევნოდ
ერთმანეთზე აღესეთ, უმადურო მოლაყბე
ქართველნი!..

ჩვენისთანა ბედნიერი მართლაც ვერ არ
მეგულება ამ ცოდვილ დედამინაზე!

ბურამ ბოზიაშვილი

ამაზე მკაცრი ზამთარიც გადაბვიტანია!

დიდთოვლობის გამო ქუთაისის სა-
ერთაშორისო აეროპორტიდან რამდე-
ნიმე რეისი არ შესრულდა. კომპანია „ვი-
ზეარის“ მგზავრები ბუდაპეშტსა და
ვარშავაში ქუთაისის ნაცვლად, თბი-
ლისის საერთაშორისო აეროპორტი-
დან გაემგზავრებიან. აეროპორტში
აცხადებენ, რომ ხსენებული ქალაქები-
დან მომავალი მგზავრებიც თბილის-
ში ჩაფრინდნენ.

საქართველოს აეროპორტების გაერ-
თიანების დირექტორის მოადგილე გი-
ორგი მოლოდინაშვილის განცხადე-

ფელ ჟყონაგორაში, ღვთისმშობლის
ტაძრად მიყვანების ეკლესიაში მყოფ
დედებს კი – წყალი და საკვები მიუ-
ტანეს.

უკვე მესამე დღეა, ლაგოდეხის რა-
იონში დაკარგული სამი პიროვნების
საპოვნელად ინტენსიური საძიებო-სა-
მაშველო ღონისძიებები მიმდინარე-
ობს. სამუშაოებში ჩართულია სასაზღ-
ვრო პოლიციის ვერტმფრენი.

პრემიერის ადმინისტრაციის ინფორ-
მაციით, იმერეთის, სამეგრელოს, გური-



დიდი თოვლი
ბათუმში

ბით, ეს 2 რეისი თბილისის აეროპორ-
ტში გადამისამართდა.

ჩამშში სტიქიის შედეგად 10 საცხოვ-
რებელი სახლი დაიტბორა.

ჩაისუბნის დასახლებაში დაზიანდა
მთავარი მილსადენი, რომლითაც ბა-
თუმის ნაწილი სასმელი წყლით მარაგ-
დება. მილის დაზიანების გამო ბათუმ-
ში თამარის დასახლებას წყალმომარა-
გება შეუწყდა.

წყალი მიმდებარე სახლების პირველ
სართულში შევარდა და დაზიანა
საყოფაცხოვრებო ნივთები და საოჯა-
ხო ტექნიკა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მარ-
თვის სააგენტო დიდთოვლობით გამოწ-
ვეული პრობლემების აღმოსაფხვრელად
საგანგებო რეჟიმში მუშაობას გა-
ნაგრძობს. სააგენტოს ინფორმაციით, 31
დეკემბრიდან დღემდე სააგენტოს ოპე-
რაციული მართვის ცენტრში 700-ზე მე-
ტი შეტყობინება შემოვიდა და თითო-
ეულზე მყისიერი რეაგირება მოხდა.

„მაშველებმა თოვლსა და ნამქერში
ჩარჩენილი სამარშრუტო ტაქსები და
სატრანსპორტო საშუალებები გამოიყ-
ვანეს, რომლებიც დიდთოვლობისა და
ამინდის პირობებისთვის შეუსაბამო
საბურავების გამო გადაადგილებას ვე-
ლარ ახერხებდნენ.

წყალტუბოში, ცხუნურის უღელტე-
ხილზე თოვლში ჩარჩენილ რამდენიმე
ავტომობილში მცირეწლოვანი ბავშ-
ვებიც იმყო-
ფებოდნენ.
სამაშველო
სამსახურის
თანამშრომ-
ლებმა ისინი
უსაფრთხო
ადგილას გა-
დაიყვანეს.
მაშველებმა
სპეცტექნი-
კით გამოიყ-
ვანეს ცაგერ-
ში ჩამონო-
ლილი ზვავის
შედეგად
თოვლში მანქა-
ნები; ლან-
ჩხუთში, სო-

ისა და აჭარის რეგიონებში, დიდთოვ-
ლობის გამო შექმნილი პრობლემების
აღმოსაფხვრა სახელმწიფო უწყებებისა და
ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შე-
საბამისი სამსახურების სრული კოორ-
დინაციით სორციელდება.

გიორგი ამაშუკელის ინფორმაციით,
აქტიურად მიმდინარეობს როგორც
ელექტრომომარაგების აღდგენის, ისე
– საავტომობილო გზების განმენდის
სამუშაოები.

თოვლისთანავე ერთად, წუხელ მთელი
ღამის განმავლობაში სამეგრელო-ზე-
მო სვანეთის მუნიციპალიტეტების ცენ-
ტრალურ და შიდა გზებზე თოვლის-
გან განმწმდითი სამუშაოები მიმდი-
ნარეობდა. პრობლემურ ადგილებზე
განმწმდითი სამუშაოების მიმდინარე-
ობა საგანგებო შტაბის წევრებმა და-
ათვალიერეს.

აღდგენილია მოძრაობა მესტიის მი-
მართულებით. ზუგდიდი-ჯვარი-მეს-
ტია-ლასდილის საავტომობილო გზის
ჯვარი-ხაიშის მონაკვეთზე დასაშვებია
ორი და მეტი ნამყვანი ხიდის მქონე ავ-
ტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო და-
ნარჩენი სახის ავტოტრანსპორტის
მოძრაობა აკრძალულია. ამავე გზის
კმ71-კმ188 (ხაიში-უშგული) მონაკვეთ-
ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა და-
საშვებია მოცურების სანიაღმრედგო
ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი
ნამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორ-
ტის მოძრაობა თავისუფალია.





ბატონო მამა, როგორ ფიქრობთ, და-რბაშვილის წასვლის თუ გაშვების ერთ-ერთი მთავარი გადაწყვეტილი ფაქტორი რამდენად შეიძლება ყოფილიყო დამამიძებელი სოციალურ-ეკონომიკური ფონი?

არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რაც სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში არსებობდა, უფრო დამამიძებელი ან გაუმჯობესდა ახალი ხელისუფლების მმართველობისას. სამწუხაროდ, ეს არის დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნის სისტემური პრობლემები, რომელიც არც ერთ საარჩევნო ციკლში წყდება და არც 10 და 20 წელიწადში.

ეკონომიკური ნაბიჯები, რაც გადაიდგა ლარბაშვილის პრემიერობის პერიოდში, შეიძლება შეფასდეს დადებითად, მიუხედავად იმისა, რომ შედეგები არ იყო შთამბეჭდავი - სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა ასე თუ ისე მოქმედებდა, სოფლად მოსახლეობის დამაგრებისთვის განხორციელდა სუბსიდიები; შესაბამისად, სოფლის მეურნეობა შედარებით სიცოცხლისუნარიანი გახდა. გარდა ამისა, საგარეო ეკონომიკური თვალსაზრისით გვაქვს ისეთი დადებითი ფაქტორები, როგორცაა ევროკავშირისა და ახალი აზრეშუმის გზის მიმართულებები.

თუცა ვხედავთ, რომ ქვეყანაში არის სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, რომელზეც გარკვეულწილად, გარე ფაქტორებმა მოახდინა ზეგავლენა. ეს მხოლოდ გარე ფაქტორები იყო გამომწვეული თუ ქვეყნის შიგნითაც იყო შეცდომები და შევებულები?

როგორც წესი, არ არსებობს მხოლოდ გარე ან შიდა ფაქტორების ზეგავლენა, ეს არის ერთობლივი პრობლემები. იყო გარე ფაქტორები - ჩინეთის საფონდო ბაზრის ჩამოშლა, რომელსაც დომინოს ეფექტი ჰქონდა, საბერძნეთის ეკონომიკური კოლაფსი, თურქეთის სერიოზული პრობლემები რუსეთთან კონფლიქტის თვალსაზრისით; რუსეთის მიმართ დანერგული ეკონომიკური სანქციები დასავლეთის მხრიდან - ეს ის ქვეყნებია, სადაც ძირითადად არიან დასაქმებული ჩვენი მოქალაქეები და საზღვარ-

საბარტემილუმ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს ეფუძნება; მთავრობა აგრძელებს მუშაობას უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის და მოქალაქეებისთვის ღირსეული პირობების შექმნის მიმართულებით; გაგრძელდება წვრილი და საშუალო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა; მთავრობა კვლავაც გააგრძელებს ჯანდაცვისა და სოციალურ პროექტებს, დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობას და ა.შ.

რა პერსპექტივების იმედი შეიძლება ვიქონიოთ, განახლებული თამაშის პირობებში, ამ თემაზე ექსპერტი ვაჟა ბერიძე გვესაუბრება.

სინამდვილეს თვალს უნდა გავუსწოროთ



კვირიკაშვილს არა აქვს პოლიტიკოსის გამოხდობა, მაგრამ...

გარეთიდან გადმორიცხვების თვალსაზრისით, ჩვენს ეკონომიკას დაახლოებით 400 მილიონი დააკლდა.

ასეთ შოკებს ასე თუ ისე, გაუძლო ქართულმა ეკონომიკამ, საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილში გეგმა შესრულდა, ლარის კურსის ვარდნა შეჩერებულია. თუმცა, არსებობს პრეტენზიები ინფლაციის მიზნობრივი დონის აცდენასთან დაკავშირებით. ლარის კურსთან დაკავშირებითაც შეიძლება უფრო ეფექტური პოლიტიკის განხორციელება. კი, ეს ყველაფერი იყო, მაგრამ იმას რასაც ოპოზიცია ამტკიცებს, რომ სახეზე გვაქვს ეკონომიკური კრიზისი, ეს ასე არ არის.

გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ ეკონომიკის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მენარმეობის განვითარება - ეს დიაგნოზი გვესმის, მრავალი წელია, მაგრამ ვერც „წაშალი“ და ვერც შედეგი ვერ მივიღეთ. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საუბარია თავისუფალ ვაჭრობაზე როგორც ევროპასთან ასევე, აზიასთან, მათ შორის ჩინეთთან, რადგან საქართვე-

ლოს ბევრი არაფერი აქვს საექსპორტო (უცხოეთში დასაქმებულთა გადამორიცხვებზე რომ არ იყოს დამოკიდებული ეროვნული ვალუტა). რატომ ვერ ხდება საქართველოში მწარმოებელი ქვეყანა და რატომ არის ქვეყნის ძირითადად, მესამე ქვეყნებისთვის განკუთვნილი იმპორტის ამთვისებელ ბაზრად?

პირველ რიგში, ამის მიზეზია ინვესტიციების ნაკლებობა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი სამეზობლო არის განსაკუთრებით პრობლემური. გარდა ამისა, კონკურენცია დიდია მწარმოებლებს შორის და ამ ბაზარზე ადგილის მოსაპოვებლად სერიოზული მუშაობა დაგვჭირდება.

ამისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ გადასახადების შემცირება ან ლიბერალიზირებული ბიზნესგარემო, საჭიროა განსაკუთრებული და კარგად დაგეგმილი ძალისხმევა, ისეთი ეკონომიკური მოდელის შექმნა, რომელიც მოკლე დროში მოგვცემს შედეგებს. ამავე დროს, სახელმწიფოს აქვს სოციალური ვალდებულებები და თუ საბიუჯეტო გადასახადები შემცირდება, ამ სო-

ციალური ვალდებულებების შესრულება გაჭირდება, იმის მიუხედავად რომ გრძელვადიან პერიოდში მას დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია, როგორც სოციალური, ასევე სამეწარმეო და ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით.

ამ და ბევრი სხვა სპეციფიკური ფაქტორიდან გამომდინარე, უცაბედი ეკონომიკური ზრდის მიღწევა საკმაოდ რთულია და ახალ მთავრობას ძალზე სერიოზული მუშაობა დასჭირდება უფრო სერიოზული შედეგების მისაღწევად.

გაქვთ დადებითი მოლოდინები თუ ახალი პრემიერის ეკონომიკურ გამოცდილებას გავეთვალისწინებთ?

კვირიკაშვილი კარგი ბიოგრაფიის მქონე, პრინციპული, განათლებული ადამიანია, მოდის საბანკო სფეროდან, ბიზნესიდან და თუ ის მასშტაბური მენეჯერის თვისებებსაც გამოამჟღავნებს, ეს მას წარმატებას მოუტანს.

პოლიტიკურად არანაკლები აქტიური პროცესები გველის - მოგვხსენებათ, საარჩევნო წელია - კვირიკაშვილმა უნდა შეასრულოს გამაერთიანებელი ლიდერის ფუნქცია და ფაქტობრივად, გაუძღვეს მთელ კოალიციას არჩევნებში წარმატების მოსაპოვებლად.

ვიტყვოდი, რომ კვირიკაშვილი კარგი პრემიერი იქნება, მაგრამ უმოკლეს დროში დასაძლევია აქვს უამრავი გამოწვევა. თანაც, მას არა აქვს პოლიტიკოსის გამოცდილება და ესეც უმოკლეს დროში უნდა დაძლიოს.

თუ მივცემა საშუალება კვირიკაშვილს, იყოს კარგი მენეჯერი - სწრაფად და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები იმის გათვალისწინებით, რომ ფარულ მმართველობაზე ეჭვები და კითხვის ნიშნები არ გაფანტულა?

ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში სერიოზულ როლს ასრულებს ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, ეს ის რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ, მაგრამ ივანიშვილი არ ჩამოყალიბებულა ავტორიტარული ლიდერად და ბელადად, არც მარიონეტული მეთოდებით მართავს საზოგადოებას.

რაც ჩანს, არის ის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ვაგაპიტი ეპიდემიის მმართველობის ამ ფაზაშია. ხალხს უფლებების პირველი და მეორე პირებიც უნდა გავაგაპიტიოთ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. თუ არჩევნები არჩევნებად, რომ მმართველობის ასეთი ფორმა მისაღებია, დანარჩენებს, ვინც კრიტიკულად ვუჭურავთ მმართველობის ასეთ სტილს, ალბარაფარი დახარჯებას სათქმელია. ის, რაც ხალხს მოსწონს ჩვენთვისაც მისაღები უნდა გახდეს.

ესაუბრა ლალი ზირაძე

უხურა ვენა!!!

სიბარბის ფასის ზრდა დისტრიბუტორთა გაურკვევლობას გამოუწვევია!



რატომ დუბან გაპირებული სიბარბის იმპორტიორები?

საბარტემილუმში სიგარეტი გაძვირდა. ფასის ზრდა ძირითადად შეეხო „ფილიპ მორისის“ მიერ იმპორტირებულ სიგარეტებს: „პარლამენტი“, „მარლბორო“, „ჩესტერფილდი“ და „ელ ემი“.

„მეტრონომი“ დაუკავშირდა საქართველოში „ფილიპ მორისის“ წარმომადგენელ კომპანიას. როგორც კომპანიის თანამშრომელმა ნონა მამულაშვილმა განაცხადა, კომპანია ამბობს ოფიციალური განცხადების გაავრცელებას, სადაც მათ მიერ შემოტანილი სიგარეტების გაძვირების მიზეზებზე იქნება საუბარი.

უცხოური სიგარეტების კიდევ ერთი იმპორტიორი კომპანია „ო-ჯი-თი“, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ბრენდები შემოაქვს საქართველოში, მათ შორის „ეფესი“, კომენტარის გაკეთებაზე უარს ამბობს იმ მიზეზით, რომ კომპანიის ხელმძღვანელები შეგულებულნი არიან.

შეგულებულნი არიან საქართველოში საზოგადოება „თბილისის თამბაქოს“ მენეჯმენტიც. ამიტომ გაუგებარია გაძვირდება თუ არა მომხმარებლებისთვის უკვე ცნობილი, ქართული წარმოების სიგარეტი „პირველი“.

სიგარეტის გაძვირების ფაქტს მთავრობაც ეხმაურება. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსა-

ხურის უფროსის მოადგილე ვახტანგ ლაშქარაძის თქმით, სიგარეტის გაძვირება აქციზზე ფასის ზრდით არ არის გამოწვეული.

„2016 წლის 1 იანვრიდან სიგარეტის ნაწარმზე აქციზი გაიზარდა 20 თეთრით, ეს ესება აბსოლუტურად ყველა სიგარეტს და მისი საბაზრო ღირებულების 5%-ით. გამოირიცხვია სიგარეტის ფასის ორმაგი ან სამმაგი ზრდა გამოწვეული იყოს აქციზის გამო. ზრდა, საგარაუდოდ, გამოწვეულია მოწოდება-მოთხოვნის დისბალანსით“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა სიგარეტსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის გაზრდასთან დაკავშირებული, საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები მესამე მოსმენით 11 დეკემბერს დაამტკიცა.

ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ თამბაქოზე ფასის ზრდა აქციზზე ფასის ზრდით არ არის გამოწვეული. რატომ მოხდა იმპორტირებული სიგარეტის ფასის უეცარი ზრდა და ხომ არ გამოიწვევს ეს პროცესი ადგილობრივი წარმოების სიგარეტზე ფასების ზრდასაც?

დასავლეთ ევროპაში სიგარეტის ფასი, ევროპულ-

ბის თვიურ შემოსავალთან შედარებით, საკმაოდ დაბალია. გერმანიაში სიგარეტი საშუალოდ 5-6 ევრო ღირს, ინგლისში 5-10 ფუნტი, საფრანგეთში სიგარეტის საშუალო ფასი 5 ევროა.

როგორც ირკვევა, ინფორმაციით, ფილიპ მორისის პროდუქცია საქართველოში დისტრიბუციას „ომეგა ჯგუფი“ აღარ გაუწევს. როგორც ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანია „ჯი და ალკოს“ ხელმძღვანელი სოსო ესართია აცხადებს, დისტრიბუტორებს შორს გაუგებრობაა, სწორედ ამ უთანხმოებამ გამოიწვია სიგარეტის დეფიციტი ბაზარზე. მოთხოვნა დიდია, მიწოდება კი ნაკლებია, სწორედ ამან განაპირობა ფასების უეცარი ზრდა. „მეტრონომი“ დაუკავშირდა „ომეგა ჯგუფს“, აღმოჩნდა, რომ სხვა იმპორტიორი თუ მწარმოებელი კომპანიების მსგავსად „ომეგა ჯგუფის“ მენეჯმენტი შეგულებულნი არიან და ერთი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი, შეავსებს თუ არა კომპანია დეფიციტს და დაიკლებს თუ არა სიგარეტის ფასი.

სიგარეტის გაძვირებას საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიც ეხმაურებიან. პარლამენტის ყოფილი წევრი ირინა სარიშვილი სოციალურ ქსელში სიგარეტის გაძვირებას ასე ეხმაურება: „ყველა ვინც თვლის, რომ ეს უანერგოების გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯია, ფარისევლებია და თუ არა, მაშინ იგაფეს უნდა თვლიდეს ზეთზე, წონადაკლებულ პურზე, კარაქზე, ხორცზე, ბოსტნეულზე, ხილზე და... ბენზინზეც, რომელიც ყველგან იაფდება, გარდა რუსული ზონისა... ყველას ვინც თვლის, რომ ეს ფასები ევროპულია და აბარა გინდოდათ, „ავიწყდება“, რომ ევროპაში და ზოგადად, დასავლეთში (მათ შორის, აშშ-ში), ეს ფასები შესაბამისი შემოსავლის პირობებში დაწესდა, სადაც ადამიანი თავად წყვეტს, უნდა თუ არა, და არა შეუძლია თუ არა, მაღალი ფასის გადახდა სიგარეტში, ალკოჰოლში და ა.შ.“

ღარიბაშვილი ოჯახმა და სანათესაო დალუპა?



„ბიორგი კვირიკაშვილის გამოსვლაში გაუღერებელი შეტყობინებების ანალიზი გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ამ ვითარებაშიც შესაძლებელია, პრემიერ-მინისტრს გააჩნდეს დამოუკიდებლობის და ავტონომიურობის მაღალი ხარისხი“ — აცხადებს პოლიტიკური კონსულტანტი **ვალერიან გორგილაძე**, რომლის განცხადებით, უახლოეს პერიოდში უნდა დაეინახოს მთავარი პრობლემატების შემქმნელების იდენტიფიკაცია და შემდგომ ამ „განტყვევების ვაცების“ განდევნის პროცესს „ოცნების“ რიგებიდან.

— ბატონო ვალერიან, წლის ბოლოს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ქვეყანაში, ვიზა-ლიბერალიზაციის მიღება და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოულოდნელი გადადგომა. თქვენი აზრით, არსებობდა პრემიერის გადადგომის წინაპირობა?

— ობიექტურად, ირაკლი ღარიბაშვილის გადასაღვამად არსებობდა მრავალი ფაქტორი, რომელიც ლეგიტიმურად ხდოდა ამ შესაძლებლობას. ეს არის ეროვნული ვალუტის დევალვაცია, ინფლაციის ზრდა, სოციალურად დაუცველი და სიღატაკის ზღვარს მიღმა მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და ა.შ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ექსპერტების და პოლიტიკოსების უმრავლესობას ეჭვი ეპარება სწორედ ამ წინაპირობის სინამდვილეში. ღარიბაშვილის გადადგომა მოხდა ელვისებურად, ყოველგვარი წინასწარი მსჯელობის და ამ მოვლენისთვის დამახასიათებელი სამთავრობო კრიზისის მომასწავებელი ნიშნების გარეშე.

— დაბალი რეიტინგი, ეკონომიკური კრიზისი და მიმდინარე სოციალური ფონი, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ბრალდება ირაკლი ღარიბაშვილს, ასეა?

— მე არ ვფიქრობ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ და მისმა შედეგებმა შექმნეს პრემიერის გადადგომის წინაპირობა. ჯერ ერთი, ამ ორგანიზაციის კვლევების მიმართ არსებობს სტაბილური და დასაბუთებული სკეპტიციზმი. მეორე, ქვეყანაში არ არის ეკონომიკური კრიზისი, **საბაზო მართვის მაკროეკონომიკა ერთადერთი რამდენიმე რამეა, რომელიც ზრდის ტემპს ინარჩუნებს**. ქვეყნის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ლარის დევალვაცია, ინფლაცია და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზრდა. თუმცა, სოციალური ესკალაციის არც ერთი ფაქტი არ წარმოადგენს ღარიბაშვილის გადადგომის წინაპირობას. ჩემი აზრით, **ღარიბაშვილისთვის ძირითად გადაუღებელ პრობლემად იქცა მისი გადასახადების ლიბერალიზაცია და დანახარების მართვა**.

თამაზაშვილების და ჯანყარაშვილების გავლენის ზრდა სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებში, ამ გვარების შესაძლო ჩართულობა კორუფციულ სქემებში. ამ და სხვა ფაქტორების ერთობლიობამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ღარიბაშვილის პოზიციები მისი მთავარი პროტექტორის ბიძინა ივანიშვილის წინაშე. ნიშანდობლივია, რომ თავის გამოსამშვიდობებელ ვიდეომიმართვაში, ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა თავისი მადლიერება ოჯახის მიმართ და არ უსენებია ბიძინა ივანიშვილი, რაც ღარიბაშვილის დისკურსისთვის არ არის დამახასიათებელი.

— როგორ შეაფასებდით 2015 წელს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს, რა იყო როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი?

— ბუნებრივია, რომ უარყოფით მოვლენებს მიეკუთვნება ყველა ის ფაქტორი, რომელმაც მოახდინა ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის კიდევ უფრო მეტი გაჭირვება. ეს არის ლარის დევალვაცია, ინფლაცია და როგორც შედეგი მოსახლეობის დიდი ნაწილის შემდგომი გაღარიბება. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ რუკაზე უზარმაზარი მონაცვლადი ვენის არსებობა ჩვენი ქვეყნისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

დადებით მოვლენებად ვთვლი ვიზა-ლიბერალიზაციას, რუსეთთან სავაჭრო რეჟიმის გამარტივებას და ჩინეთის ეკონომიკურ (და შესაბამისად პოლიტიკურ) შემოსვლას ქართულ სივრცეში. მაგრამ, როგორც სოციოლოგი, არ შეიძლება, არ აღვნიშნო არნახული სოლიდარობისა და თვითორგანიზაციის უნარი, რომელიც ჩვენ ვიხილეთ ვერეს ხეობის კატასტროფის დროს. უცნაურია, მაგრამ კატასტროფული ვითარება ყველაზე მეტად ერში არსებული პოტენციალის დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელო-

ვანი და შთამბეჭდავი იყო, როდესაც ათასობით მოხალისემ გამოავლინა თავისი ნების სუვერენობა ხელისუფლებისგან, რაც გამოიხატა სამაშველო სამუშაოების მენეჯმენტში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ პროცესის ორგანიზებაში ერთ-ერთ ინსტრუმენტად ჩვენ ვიხილეთ სოციალური ქსელები. ვფიქრობ, რომ საქართველოში შემდგომი პროცესების მიმდინარეობაც (სოციალური, პოლიტიკური) მნიშვნელოვნად განისაზღვრება სოციალური ქსელების მენეჯმენტის მეშვეობით.

— 2016 წელი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ საქართველოში ტარდება საპარლამენტო არჩევნები, როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ რომელიც დაინტერესებულია, დარჩეს ხელისუფლებაში, რა ცვლილებები უნდა განახორციელოს საარჩევნო სიაში? უშვებთ შესაძლებლობას, რომ კოალიცია ამ შემადგენლობით არ წარსდგეს არჩევნებში?

— ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილის გადადგომას და ბესელია-კობახიძის ირგვლივ აგორებულ სკანდალს ექნება შორს მიმავალი შედეგები „ქართული ოცნებისთვის“ და მართალი გითხრა, მგონია, რომ ამ შედეგებს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ პოზიტიური ეფექტი ამ კოალიციისთვის. ოცნებისთვის ამჟამად არის ხელსაყრელი ვითარება თავისი რიგების გასანმენდად, ამასთან ერთად „ქართული ოცნების“ კოალი-



ციამ შეიძლება ახალი სტიმული შეიძინოს.

— დღეს, კოალიციას აქვს იმის რესურსი, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე წარსდგენ ამომრჩევლის წინაშე? როგორც ცნობილია, ყოფილი პრემიერი ოფიციალურად ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში...

— მართალი გითხრა, კოალიციას აქვს ის რესურსი, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე წარსდგეს ამომრჩევლის წინაშე. ივანიშვილის გამოჩენა სიის პირველ ნომრად, ჩემი აზრით, შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ალარმისტული სიგნალი. ანუ მოსახლეობამ შეიძლება ჩათვალოს, რომ კოალიციაში იმდენად ცუდად არის საქმე, რომ მათ კვლავ დასჭირდათ ივანიშვილის აქტიური ჩართვა. ჩემი აზრით, პირველი სამეული, რომლის წარდგენის რესურსი გააჩნია კოალიციას საარჩევნო სიაში — კვირიკაშვილი, უსუფაშვილი, სერგეენკო — კვლავ უაღტერნატივოდ მეჩვენება, თუკი მას დაეურთავთ ინტელექტუალებს, რომელთა ღირებულებების რევენანტურობაშიც ეჭვი არ შეეპარება მოსახლეობის დიდ ნაწილს...

— მაგალითად ვინ?

— ზაზა ფირალიშვილი, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს რეალური შანსები წარსდგეს ამომრჩევლის წინაშე, ყველაზე ძლიერი პერსონალური შემადგენლობით. თუმცა, საამისოდ „ოცნებას“ დიდი სამუშაოს განევა მოუწევს.

— და ბოლოს, იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რაც არსებობს ქვეყანაში, რას ელოდებით 2016 წელს, როგორც შიდა პოლიტიკური პროცესების, ასევე საგარეო მიმართულების თვალსაზრისით?

— ეს წელი შეიძლება გამოდგეს ყველაზე მიმდინარეობად ჩვენი დამოუკიდებლობის უახლეს ისტორიაში. უპირველესად ვგულისხმობ დასავლეთ-რუსეთის გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას, რომლის მწვავე ფაზა სწორედ, რომ 2016 წლისთვის არის მოსალოდნელი. უკრაინა და სირია — ორივე არეული საქართველოს ათასი კილომეტრის რადიუსში მდებარეობს, რუსეთ-თურქეთისა და აზერბაიჯანსა და სომხეთის შორის არსებულმა დაძაბულობამ ასევე შეიძლება იქონიოს დიდი გავლენა საქართველოს შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე. ამას ემატება ძალზედ რთული სოციალური ფონი, რომელიც დღეისათვის შექმნილია საქართველოში. ხელისუფლებამ, ჩემი აზრით, უნდა მოახდინოს ყველა არსებულ გამოწვევაზე და საფრთხეზე ადეკვატური არტიკულაცია მოსახლეობასთან კომუნიკაციის დროს.

სხვა თემთშეშორებულ საარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღე შესაძლოა, დიდ საფრთხედ იქცეს როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე მთლიანად ძველთვის...

თბილისის თბილი გული...



მერიკა ყველა მიუსაფარს შესაძლებელია

თბილისის მერია თითოეულ მიუსაფარ მოქალაქეს თავშესაფრის დროებით მომსახურებას სთავაზობს. ამის შესახებ ნათქვამია მერიის მიერ გაერცხლებულ განცხადებაში, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

„როგორც ცნობილია, 2015 წლის დეკემბრიდან ლილოს დასახლებაში ფუნქციონირებს ახალი კაპიტალურად აშენებული თავშესაფარი, რომელსაც ერთდროულად 240 ბენეფიციარის მომსახურების საშუალება აქვს. ბენეფიციარები 24-საათიან რეჟიმში იღებენ პირველად ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას და პირველად მედიკამენტებს, მათ ემსახურება სოციალური მუშაკი, ასევე საჭიროების მისხვედით ფსიქოლოგი. შენობას აქვს უსაფრთხოების სამსახური.“

თავშესაფარში ცალ-ცალკე ოთახებია გამოყოფილი ქალებისთვის და მამაკაცებისთვის. თითო ოთახში ათი ბენეფიციარია განთავსებული, სადაც მათთვის სუთი 2-სართულიანი საწოლი დგას. მათთვის გათვალისწინებულია პირადი მოხმარების ნივთები და ჰიგიენური საშუალებები. თავშესაფარი აღჭურვილია სასადილო, საბაზანო, სამრეცხაო და საშრობი ბლოკებით. ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან ორჯერადი სრულფასოვანი კვებით, დღიური კალორიით 2 800 კკალორია.

აღსანიშნავია, რომ მიუსაფარი მოქალაქეები თავშესაფარში მათივე მომართვის საფუძველზე, ან პატრულის დახმარებით სვდებიან. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მათი ნების საწინააღმდეგოდ თავშესაფარში მიუსაფართა გადაყვანა დაუშვებელია. როგორც ცნობილია, მოქალაქე თავშესაფარში მოსახვედრად უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა კრიტერიუმს — უნდა შეეძლოს თავის მოვლა, არ უნდა ჰქონდეს გადამდები დაავადება, უნდა იყოს თბილისში რეგისტრირებული და უსახლკარო.

2016 წლის 1 იანვარს თავშესაფარში განხორციელდა რამდენიმე ბენეფიციარის მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 3 იანვარს მერიის თანამშრომლებს, რომლებიც შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ადგილზე მივიდნენ სამ მოქალაქესთან, მათ თავშესაფარში გადასვლაზე უარი განუცხადეს. ამიტომ, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ პირის თავშესაფარში გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ მისი ნების საფუძველზე. მოგესვენებათ, რომ ლილოს კაპიტალურ თავშესაფარში თბილისში უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის 2013 წლის დეკემბერში მოსკოვის გამზირზე ეწ. „კარვების ქალაქი“ აშენდა. სულ, მოსკოვის გამზირზე 22 კარავი იდგა და მათ ფუნქციონირებას უწყებათაშორისი კომისია უზრუნველყოფდა. 2015 წელს კი, აშენდა ლილოს კაპიტალური თავშესაფარი“.

ნოე რამიშვილი „სიმბოლოურად“ საშუალო „ქვეყანა“

ნოე რამიშვილის პასპორტზე აეროპორტში სიმბოლოურად ქართული შტამები დაფიქსირდა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის შთამომავლები საქართველოს ეწვივნენ. ნოე რამიშვილის შვილიშვილი მიშელ რამიშვილი საქართველოში ბაბუის პასპორტით ჩამოიტანა. შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკონტროლო გამშვებ-ბუნქტში ნოე რამიშვილის პასპორტზე სიმბოლოურად ქვეყანაში შემოსვლის შტამები დაფიქსირდა. როგორც მიშელ რამიშვილმა განაცხადა, ნოე რამიშვილის ოჯახისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1925 წელს გამოცემული ფრანგული პასპორტის ფურცელზე დამოუკიდებელი საქართველოს შტამის არსებობა. „ეს ჩემი დიდი ბაბუის ერთგვარი დაბრუნება საქართველოში“, — აღნიშნა მან. ნოე რამიშვილის შთამომავლები საქართველოში რამდენიმე დღე დარჩებიან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეწვევიან და მინისტრ გიორგი მღებრიშვილს შეხვდებიან.

XO-308-360, გეოგრაფიკული



„ალუბლის ბალი“ თითქოს პირწინადად რუსულ სატელევიზიო არხზე გამოდგინდა, მაგრამ ანტონ ჩეხოვის მწერლობის ხელოვნება ძალდაუტანებლად განაზოგადებდა ამ პრობლემას და საკაცობრიო სადარდებლის განუყოფელ ნაწილად აქცევდა.

ქართულ სატელევიზიო არხზე გამოხატავს – თავის თავად და ძალდაუტანებლად, ოღონდ ეს „თავისთავადობაც“ და „ძალდაუტანებლობაც“ რეჟისორული ხელოვნებით უნდა იყოს განსაზღვრული, გარეგნულად დაფარულით, ანტონ ჩეხოვის დრამატურგიული ოსტატობისა არ იყოს, თითქოსდა სინამდვილე ფოტოგრაფიული სიზუსტით რომ გადაინაცვლებს ფურცელზე და... სულ ესაა, მაგრამ „ფოტოგრაფიულობა“ უკან გადადის ფინალური აკორდისა და განზოგადების წინაშე, ალუბლის ბალი ერთბაშად რომ უნდა გასიმბოლოვდეს დაკარგულ ედემად, რომელიც წუთისოფელში თავს იჩენს არისტოკრატიულ სულსა და რომანტიკულ მისწრაფებებში, რომლის გადასარჩენად ზრუნავს ყოველწამიერი უნდა იყოს, ისედაც რკალში მოქცეულის, ისედაც ხიფათის წინაშე მდგარის, თორემ უღვთო განწირულებას წინ ვეღარაფერი დაუდგება.

არისტოკრატიული სული ჩაინაცვლება. რომანტიკულ მისწრაფებებს ფრთები შეეკვეცება. და სილამაზესა და ამაღლებულობას გადაეტოვება სიტლანქე და უხეშობა, ის სულგამოცლილი, მექანიკური, მასობრივი ადამიანი, რომლისთვისაც ალუბლის ბალის იდუმალი წარმომავლობა სამოთხისაგან სრულიად არაფერს ნიშნავს და... ამდენი ხნის ნალოლიანები ისე დაუნანებლად შეიძლება აიჩეხოს, ნასახიც აღარ დარჩეს ოდინდელი მშვენიერებისა.

დიდხანს ოცნებობდა „ალუბლის ბალის“ დადგმაზე მიხეილ თუმანიშვილი, იმეორებდა და იმეორებდა ამ ოცნებას, მაგრამ ისე უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან, ეს ფიქრი და სწრაფვა ალუსრულელები დარჩენოდა.

შესაფერის ფორმას ეძებდა და... ვერა და ვერ მიეგნო.

ისეთ სპექტაკლად კი აქცევდა, ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის კიდევ ერთი ჩინებული ნიმუში რომ ყოფილიყო, მაგრამ დიდებულ რეჟისორს ეს არ აკმაყოფილებდა – რაღაც სხვაგვარად მოქდობოდა გულზე ეს სატელევიზიო-სადარდებელი და სურდა განსაკუთრებულ მოვლენადაც ჩამოეყენა, ანტონ ჩეხოვის ფიქრისათვის თავისი ფიქრებიც მიედევნებინა და „ძალიან რუსული“ პრობლემატიკის მიღმიდან „ძალიან ქართული“ სანუხარს შემოენათებინა, ამ ფონზე კი ახალი გზა მოენიშნა თეატრალურ ცხოვრებაში.

ან ყველაფერი, ან არაფერი – მოგეხსენებათ ეს მაქსიმალიზმი.

და ამჯერადაც ამ გულისჭიდილით რომ შეპყრობილიყო რეჟისორი, ამჯობინებდა სულაც აღარ დაედგა.

და ტოვებდა ამ ოცნებას ერთგვარ საჯილდოო ქვად, დაე ახალ თაობებსაც რაღაც განსაკუთრებული დაენახათ „ალუბლის ბალი“ და რიგით – თუნდ თავისთავად მომხიბლავ – სანახაობას კი არ დასჯერებოდნენ, არამედ უპირველესად ფორმის სიახლეზე ეზრუნათ – კლასიკური დადგმის საზღვრებში მოძებნილიყო სიახლე და არა გარეგნულ მორთულობასა და ეკვილიბრისტიკაში, იმ ფსევდომოდერნულ ხერხებში, სწრაფმავალი რომ არის და სასიკეთოს არას დააჩნევს ხოლმე თუნდ თეატრალური ცხოვრების მიდინარებას.

უნდა დამდგარიყო ამ პიესის გასპექტაკლების ყაზიხი, მიხეილ თუმანიშვილს რომ ოცნებებოდა.

და ეს უნდა მომხდარიყო სოსო ნემსაძის რეჟისორული ხელოვნების წყალობით.

და ეს უნდა მომხდარიყო გორში.

მიანცდამიანც და სწორედაც ამ არტისტულ ქალაქში, სადაც წვრთნიდა და ამზადებდა მსახიობთა დასს გიორგი ერისთავი, და თუმც პირველი სპექტაკლი თბილისში დაიდგმებოდა და ქართული პროფესიული თეატრის არსებობის ათვისაც ამ დღიდან დაიწყებოდა, საყრდენი და საფუძვლიანი გორში მომზადებულყოფი და ამიტომაც დაუდევს თავისი წილი ამ ქალაქსაც ჩვენი პროფესიული თეატრალური ცხოვრების დასაბამში: 1850 წლის 1 (14) იანვარს.

მოსალოდნელია, რომ მის კიდევ ერთ განახლებასაც მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდოს – ჯერ ისედაც რომ იპყრობს ყურადღებას აქაური სპექტაკლები, მთელი ქალაქი რომ აიყოლიეს და არც თბილისელ თუ ქუთაისელ მაყურებელს ისაკლისებენ, და ახლა „ალუბლის ბალის“ დადგმა იმ ახალ ესთეტიკასაც აპოვინებდა რეჟისორს, მისი წარმატებული სახელოვნებო ძიებანი შესაფერისადაც რომ დაგვირგვინდებოდა: „დანტონს“ (გეორგ ბიუშნერი, დაგნი პუბლიშვილი), „სანჯავას“ (ამელი ნოტომი) თუ „მუსუსს“ (მიხეილ ჯავახიშვილი), ერთი მხრივ ტრადიციებსა და მეორე მხრივ კომედიას, შექმნა სპექტაკლი, გამორჩეული რომ იქნებოდა თვით ჩინებული დადგმებით გადავსებულ თეატრალურ სინამდვილეში, და რაღა უნდა ითქვას ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობაზე, თეატრს ღრმა კრიზისის ყაში რომ დასდგომია და, თითოეულმა მართლაც ღირებული სპექტაკლის გარდა, ყველაფერი ყოველად უგემოვნო და მდარე შოუს დამსგავსებია, სიტყვა საერთოდ რომ გაუფასურებულა და კი-

დედ დაკარგულა სცენაზე და პანტომიმის ნაუღეკავს სპექტაკლის შინაარსი. ერთი პანტომიმის თეატრი არა კმარა, თანაც ამ ხელოვნების ქვემარტივი ოსტატის ამირან შალიკაშვილის ხელში, ყველა წარმოდგენა მისი ნიჭიერი თუ უნიჭო მონაფეების დადგმული რომ არ გვეგონოს?!

სოსო ნემსაძე ინარჩუნებს სიტყვის მადლსა და ძალმოსილებას სცენაზე და, ცხადია, მის მიერ ხორცშესხმული „ალუბლის ბალიც“ თავიდან ბოლომდე სიტყვის გამომსახველობაზე აგებული, მსახიობებს – ამ მხრივ უკვე საკმაოდ განაფულთ – გულშიჩამწვდომად რომ



სოსო ნემსაძე

ალუბლის სევდა და არტისტული ქალაქი

ნეტა კვლავაც გორი ხომ არ განსაზღვრავს თბილისის თეატრალური ცხოვრების სასიკეთო ფერისცვალებას?



სსენა სპექტაკლიდან

მოაქვთ მაყურებლამდე და სრულყოფილად განაცდენინებენ ჩეხოვისეულ ტვიცილებსაც და ქართულ სანუხარსაც, ყოფითი სურათები თანდათანობით რომ უნდა ამალდეს ღრმა განზოგადებამდე.

არც სანახაობრივი მხარე აკლია სპექტაკლს, ოღონდ სანახაობა სიტყვასა და დამორჩილებული და არა პირიქით, რათა ქართულმა თეატრმა შეასრულოს ის დანიშნულება და ვალი, ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები რომ განუხაზღვრავდნენ იმთავითვე და: ტაძარს შეადრიდნენ.

ეს შეგრძნება გუფილება სპექტაკლის მსვლელობისას და თვით ეროტიკული სცენის გაეღვებაც აღარ აღიქმება შემაცბუნებლად თუ სულაც სცენური ეროტიკომანიისათვის ხარკის გადახდად, და ეს იმიტომ, რომ თვითმიზნური არ არის, დადგმის შინაარსს აძლიერებს, სიტყვის ექსპრესიას დამორჩილებული ადასტურებს, ისევე როგორც საქანელებზე ქანაობა თუ მახვილგონივრულად მიგნებული ფონი – არსად ჩანს ალუბლის ხეები, სამაგიეროდ რკინის კონსტრუქციებზე აგებული მაგიდა-სცენის გარშემო შემოწყობილია ფაიფურის სერვიზი: რაღა ის და რაღა ალუბლის ბალი!.. გამჭვირვალეა მეტაფორული გაიგივება – ერთიც და მეორეც იმ ტრადიციისა და სულიერების ნიშანია, რომელიც თვალდათვალ უნდა დაიღვინოს და გაქრეს.

და ალუბლის ბალის გარდუვალ გაჩეხვას მოასწავებს ეროლოაი ლოპახინის მიერ თეფშის დახეთქება ძირს და ნამტკრევევად დაშლა, ამ ნამტკრევევსაც ულმობლად რომ უნდა შედგეს ზედ და მთლად დაანამცევოს, რათა ჩაიშრიტოს ყოველგვარი იმედი თეფშის გამრთელებისა.

მსახიობებს გულშიჩამწვდომად რომ მოაქვთ მაყურებლამდე...

მარჯვედ შერჩეული ანსამბლი არტისტებისა ანიჭებს რეჟისორულ ჩანაფიქრს იმ შთამბეჭდაობას, „ალუბლის ბალი“ ესთეტიკური სიახლის ნიმუშად რომ გვევლინება, სამაგალითოდ ქართული თეატრისათვის, მდარე ვოდევილებად და უგემოვნო შოუებად და ხურდავებულისათვის, ილიასეული შეგონება სადღაც მიღმა რომ დარჩენიათ და რაღაც გაუგებრობაში დაბოროლობენ.

ნათა კვლავაც გორი ხომ არ განსაზღვრავს თბილისის თეატრალური ცხოვრების სასიკეთო ფერისცვალებას?

ამ სიახლეს ხომ არ ჩაუპვირდებინა? და თვითონაც ხომ არ მოინდომებენ იმ სიღრმისა და დახვეწილობის მიღწევასაც, რომელთა გარეშეც ყოველგვარი სიახლე ჰპარპი გამოიქიდე?

მსახიობებს სრული ასპარეზი მიეცემოდან საკუთარი უნარის გამოსავლენად და ამიტომაცაა, ყველა ბოლომდე რომ იხარჯება და თავთავისებურ ხასიათსაც კანთიელად გამოკვეთს: თეკლა მარჯანიშვილიც, მარინა არლუთაშვილიც, კახი ბერიძეც, ომარ ბექაურიც, ზაზა თედელურიც, ანზორ გვაძაბიაც, კობა კობაძეც, ნატო აივაზაშვილიც (ეს ვინც მე ვნახე სპექტაკლში, და როგორც მამცნეს – ანა ჩოგოვაძე და შოთა ხანჯალიაშვილიც საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ), მსახიობთა ანსამბლს კი ჰკრავს გვანცა კანდელაკი არისტოკრატიული გრაციოზულობითა და იმ არტისტული ოსტატობით, ახმეტელის თეატრის სპექტაკლში „ნათელი ბნელში“ თვალდათვლივი რომ გახადა თავისი ნიჭიერება და გარდასახვის უნარი. ის, რაც ანტონ ჩეხოვს დაეკისრებინა ლიუბოვ რანევსკაიასათვის, მსახიობი ზუსტად აღასრულებს იმ მოვალეობას.

უთუოდ უნდა აღინიშნოს კომპოზიტორის წვლილიც – მამუკა მეგრელიშვილის, ქორეოგრაფისაც – გიორგი მარლანიასი, და ტექნიკური რეჟისორისაც – სოფიო დრულევისა.

საგულისხმოა, რომ:

სპექტაკლი დაიდგა არა დიდ სცენაზე, არამედ მესამე სივრცედ სახელდებულ დარბაზში, ამგვარი დასათაურება – შეგნებულად თუ ქვეშეცნებულად – მძაფრი მოლოდინის განცდას რომ აჩენს: მესამე ზარის შემდეგ დაიძვრის მატარებელი, მესამე ზარის შემდეგ იწყება სპექტაკლი და მამლის მესამე ყვილი კი გვაგრძობინებს, რომ ჯვარცმის მისტერია ერთხელ სულაც არ აღსრულებულა სამყაროში და ის კვლავცკვლავ მეორდება.

და ყოველი სულიერი ღირებულება ხომ ამ მისტერიის თავისებური გამოხსივებაა!..

და ეს იმის მიუხედავად, ტრაგიზმითაც გაჟღერთილია თუ არა, აგერ „ალუბლის ბალი“ უშუალო გამოძახილად რომ წარმოგვიდგება იმ სულიერი რღვევისა, მაცხოვრის მოვლინება რომ ვერ აღკვეთდა, ეგაა, შეანელებდა მის საზარლობას და იმედოვნებასაც არ ჩაგვიშრეტდა, რათა სიცოცხლე გაუსაძლისი არ შექმნილიყო.

რაოდენ მძაფრია თუნდ ის მიზანსცენა, ლიუბოვ რანევსკაია და დუნიაშა ველოსიპედს რომ დაეჯაჯგურებინა ზემოთ-ქვემოდან... და გამარჯვება უნდა დარჩეს იმ დუნიაშას, რომელიც ეროლოაი ლოპახინთან ერთად ბატონ-პატრონიც უნდა შეიქნას ალუბლის ბალისა, რომლის სილამაზეც უნდა შეიბუხროს დოლის შემზარავი სულისგამყინება პრახუნის ფონზე.

და რაღა დაგვთქვინა: ახარა იმ მიდინად, რომელიც მოგდევს, მოგპახის და სულსა და გულს გიბრუნებს. და ეს ძახილი, კამარზინის რომ განაცდევინებდს მახურებალს, ყველა თაობა სუთმპვა-შეპრული რომ მისჩინებინა უკიდურესად დასაძაბულ, მღელვარების ზღვარზე გათხარებულ დარბაზს, კიდევ ერთხელ რომ მოგვაპლაშუჭაბს ჩვენ-ჩვენ მიხს, ბაღს, ალუბლებს... თორემ ალუბლის მტვირთვით ჩაბველდა ხელები, რაც ყველაზე აკვირვასად და სანუგავსად გვაპლაშუჭაბდა და სიმხნევეს გინარჩუნებდა, ძახილად გარდასული ჟამისა, შორეულ მოლანდებად სამოთხისდროინდელი სინამდვილისა...

ამ არაორდინარული სპექტაკლის დასრულების შემდგომ ვინ არ აღიარებს, რომ ანტონ ჩეხოვი ქართველი მწერალია, თუნდ გარეგნული კოლორიტი პიესის პირწინადად რუსულიც იყოს.

ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება მოქმედება – გაუცხოების ესთეტიკის კვალობაზე – რუსულ გარემოშიც გაშალო და პერსონაჟებსაც რუსული გვარ-სახელები შეუწრიო, ავთანდილ-თინათინის არაბობისა და ტარიელ-ნესტიანის ინდოელობისა არ იყოს!..



– სოსო ნემსაძე თეატრალური ცხოვრების ეპიცენტრი გორში გადაიტანაო, – დაბეჯითებით ირწმუნება იოსებ ტუმბურიძე საჯარო სივრცეში. ჩემი მხრივ ისეა დამრჩენია, რომ გავიზიარო ეს შეხედულება ჩვენი თეატრალური ცხოვრების სასიკეთო ფერისცვალების მოლოდინში.

როსტომ ჩხეიძე.

საქართველოდან ექსპორტირებულია 36 071 399 ბოთლი ღვინო

ღვინოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის განმავლობაში, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენს.

წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება წლის ბოლომდე შენარჩუნდა ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე – ჩინეთში, სადაც ქართული ღვინოს ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2 672 154 ბოთლი. ჩინეთმა ქართული ღვინოს ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხედ ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ.

ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 3% (1 600 302 ბოთლი), რომელიც ქართული ღვინოს სტაბილურ, მზარდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, ლიტვა – 4% (658 666), ესტონეთი – 54% (506 124), ნიდერლანდები – 58% (51 432), საფრანგეთი – 190% (37 956), დანია – 100% (34 840) და სხვა.

ალსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორცაა აშშ – 31% (248 075), კანადა – 48% (157 836), იაპონია – 5% (138 290), ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთში – 79% (185 514), ისრაელში – 48% (35 820), კორეაში – 37% (24 054) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე

გამოიყურება: რუსეთი – 18 308 177, ყაზახეთი – 5 195 949, უკრაინა – 3 412 453, ჩინეთი – 2 672 154 და პოლონეთი – 1 600 302 ბოთლი.

მთელ რიგ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მიუხედავად, რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში – რუსეთსა (-51%) და უკრაინაში (-56%) ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა წლიური ექსპორტის ჯამურ მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ითაა შემცირებული.

მთლიან რაოდენობაში ყველაზე მეტი ექსპორტირებულია ადგილწარმოშობის წითელი ნახევრადტკბილი ღვინო „ქინძმარაული“ – 5 114 901 ბოთლი, წითელი მშრალი ღვინო „მუკუზანი“ – 1 827 248 ბოთლი და თეთრი მშრალი ღვინო „წინანდალი“ – 1 343 232 ბოთლი. ყველაზე მოთხოვნადი ადგილწარმოშობის ღვინოების ხუთეულში შედის ასევე წითელი ნახევრადტკბილი ღვინო „ახაშენი“ – 651 348 ბოთლი და წითელი ნახევრადტკბილი ღვინო „ხვანჭყარა“ – 348 416 ბოთლი.

ამასთან ერთად, 2015 წელს საქართველოდან 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 266 755 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 18,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს.

საქართველოდან მსოფლიოს 7 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8,9 მლნ ლიტრი საბრენდე სპირტი, რაც თანხაში 26,5 მლნ აშშ დოლარია.

გასულ წელს მსოფლიოს 21 ქვეყანაში ექსპორტი-



რეზერვუარი ასევე 118 890 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა. ეს კი თანხაში 466,3 ათასი აშშ დოლარია.

მთლიანობაში ღვინოს, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსახსმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 2015 წელს 146,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

კობა ღვინოშვილი.
X0-308-360



ნიკო ფიროსმანი: ქართული ქიფი

ღვინო სარგებელ არს ცხოვრებისა და შუებაი სულისა...

ძველი ელინები ღვინოს დოზებს ასე აცხადებდნენ: პირველი ჭიქა ჯანმრთელობაა, მეორე – კმაყოფილება, მესამე – ტკბილი ძილი... მეოთხე – თავგებობა, მესამე – აღიქმის, მეექვსე – ტაკიმასხარაობა, მეშვიდე – სიბრძნე და მერვე – დანაშაული. ღვინოს თვისებები საქართველოშიც კარგად იცოდნენ და ეს „ღვინოური სასმელი“ თრობის საშუალებად იშვიათად მიაზრებოდა.

ქართველი კაცი ღვინოს ოდითგანვე სულისა და სხულისთვის მარგებელ სასმელად აღიქვამდა და სხვა მრავალი დანიშნულების გარდა სისხლნაკლებობის, სისუსტის და უმადობის წამლადაც იყენებდა. ყანაში წასული გლეხი, სამწყვსად წასული მესაქონლე თუ სამუშაოდ წასული ხელოსანი მძიმე შრომას ღვინოთ იმსუბუქებდნენ. დიდმარხვაში მრევლიც და საეკლესიო პირებიც ღვინოში ჩამბალ პურს, ე. წ. ბოლინოს მიირთმევდნენ. ძველ ღვინოს ასმევდნენ მეძუძურ ქალებს და მცირე დოზებით ჩვილ ბავშვებსაც. შეძლებული ხალხი ახალშობილს ღვინოში განბანდა. ბავშვის გასაბანი წყლის წითელი ღვინოთ შეფერვის ტრადიცია დღემდე შემორჩენილი. ღვინოს, როგორც ჯანმრთელობისთვის აუცილებელ პროდუქტს, ძველ საქართველოში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პატიმარსაც კი გარკვეული დოზით აძლევდნენ. ენოთერაპიას, ანუ ღვინოთ მკურნალობის თემატიკას დიდი ადგილი უკავია ქართულ სამედიცინო შინაარსის ხელნაწერებში, მაგალითად, ზაზა ფანასკერ-

ტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნ-კარაბადინში. საინტერესოა აგრეთვე ძველი ალექსანდრეის შიგნით: „ღვინო სარგებელ არს ცხოვრებისა კაცთათვისა. რაი არს ცხოვრება გარეშე ღვინოსა? ღვინო შექმნილ არს საშუებლად კაცთა. ღვინო კმა საყოფელად შესაძლებელი ჟამსა შინა არს სიხარული გულსა და შუებაი სულისა. სმა მრავლისა ღვინოსა ლალვათა და წყევათა შინა არს სიმწარე სულისა...“ (სიბრძნე ზირაქისა). მეღვინეობის ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორც საფრანგეთია, რამდენიმე ტიპის ღვინო სამკურნალო საშუალებად კანონითაა დაშვებული და შეტანილია ფრანგულ ფარმაკოპეაში. საფრანგეთის კონსტიტუციით, სისხლში 0,50 მ/ლ-ზე მეტი ალკოჰოლის რაოდენობის შემთხვევაში, ავტომატურად მართვაც კი დაშვებულია.

ღვინოს ზედმეტი მოხმარება იწვევს თრობას. ხშირი მოხმარება შლის უჯრედებს, ასუსტებს კუნთებს და მატებს წონას. შედეგად დაღუპა მოთხოვნილებაში გადადის. ღვინოს ხშირი მოხმარების გამო ორგანიზმში გროვდება ცხიმები, ქოლესტერინი და ცხიმოვანი მჟავები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის ცეროზი. ასევე შეიძლება მოხდეს სხვა ორგანოების მოწამვლა, დღეში 4 და მეტი ჭიქა ღვინოს მოხმარება იწვევს არტერიული წნევის პრობლემებს, ჰიპერტონიას, ცერებრალურ სისხლძარღვთა პრობლემებს, პოლინევიტის, მესხიერების და-კარგვას, ტაქიკარდიას... იზრდება სამუ-

შაო ტრავმებისა და ავტოკატასტროფების რისკი. ღვინოს შემადგენლობაში შემავალი რძემჟავა ბაქტერიები წარმოქმნის ბიოგენურ ამინებს, რაც ჯანმრთელობისთვის საზიანოა. გოგირდის დიოქსიდი იწვევს თავის ტკივილს და მუცლის წვას. ჰისტიდინი შეუძლია გამოიწვიოს ჭინჭრის ციება და ასთმა. ღვინოს მიღება არ არის რეკომენდირებული ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისთვის. ამ შემთხვევაში, არანაირი ტრადიციების ნდობა არ შეიძლება, რადგან სერიოზული რისკ-ფაქტორები არსებობს. დაუშვებელია ღვინოს მიღება წამლებთან, განსაკუთრებით, დამამცნარებლებთან ერთად.

სასარგებლო რჩევები
ღვინოს უარყოფითი გავლენა ძირითადად ეთანოლს, ანუ ალკოჰოლს უკავშირდება. ბიოლოგიური მიზეზების გამო ალკოჰოლის გადამუშავებას ყველა ორგანიზმში ერთნაირად ვერ ასწრებს. ეს ორგანიზმში წყლის სხვადასხვა პროპორციებზე, წონაზე, გენეტიკაზე და ინდივიდის ფიზიკურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ნიშანდობლივია, რომ ღვინოს ერთი და იგივე რაოდენობის მიღებისას, სისხლში ალკოჰოლის რაოდენობა ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში. ეთანოლის რაოდენობა სისხლში დაღვივისთანავე სწრაფად იზრდება და მაქსიმუმს სხვადასხვა პერიოდში აღწევს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია დაღვივების ღვინოს რაოდენობა, თავად ინდივიდი და მისი მდგომარეობა იმ დროს,

როდესაც ღვინოს სვამდა. ღვინოს უზომოზე დაღვივისას პიკი დაღვივიდან 15 წუთში ვლინდება, ხოლო ჭამის დროს – ერთ საათზე გვიან და თან იგი ნაკლებად მოქმედებს. ამიტომ, უმჯობესია, ჭამის გარეშე ღვინოს მიღებას თავი ავარიდოთ. ეთანოლის სისხლში გადასვლის შესაჩერებლად კარგი საშუალებაა ერთი ჭიქა წყლის მიღება ღვინოს დაღვივამდე. ალკოჰოლის თითქმის 95%-ს ღვიძლი შთანთქმავს და მანერე უანგავს ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებად. 70-კილოგრამიანი ინდივიდი საათში 7 გრამ ეთანოლს გადამუშავებს. მეტი რაოდენობის ალკოჰოლის მიწოდებისას კი ენზიმური სისტემა გადატვირთულია და ორგანიზმი იძულებულია, გამოიწვიოს სხვა სასწრაფო გზა, რომელიც საბოლოოდ პათოლოგიით მთავრდება.

როგორ გამოვითვალთ ალკოჰოლის რაოდენობა ჩვენს სისხლში
შესაძლებელია გამოითვალოს მოხმარებლის სისხლში ალკოჰოლის რაოდენობაც. ამისათვის საგანგებო ფორმულა არსებობს. ალკოჰოლის რაოდენობა უდრის ალკოჰოლის სუფთა წონა გრამებში შეფარდებული მოხმარებლის წონასთან კილოგრამებში და გამრავლებული „ექსკოეფიციენტზე“ („იქს-კოეფიციენტი“) ქალებში 0,6, მამაკაცებში კი 0,7 უდრის. თუმცა, კოეფიციენტი შეიძლება შეიცვალოს ადამიანის ფიზიკური მონაცემების მიხედვით. 10-გრადუსიანი ღვინოში 10% ალკოჰოლია. 100 მილიგრამი ალკოჰოლიანი ღვინო 9 გრამ სუფთა ეთანოლს შეიცავს, თორმეტგრადუსიანი კი – 9,6 გრამს. 60-კილოგრამიანი ქალი ორგანიზმისთვის დასაშვებ ზღვარს მიაღწევს 0,187 ლიტრი 12-გრადუსიანი ღვინოს მიღებისას, რაც დაახლოებით 2 ჭიქაა. 80-კილოგრამიანი მამაკაცი კი 0,291 ლიტრის დაღვივისას, რაც დაახლოებით 3 ჭიქას უდრის. საჭიროა დრო, რომ სისხლში ალკოჰოლის რაოდენობა გაქრეს. მისი შემცირების სიჩქარე მამაკაცებში საშუალოდ საათში 1,5-ია, ქალებში – კიდევ უფრო ნაკლები. სულ ცოტა შეიძლება საათისა და წუთის იმისათვის, რომ ორგანიზმში ალკოჰოლის რაოდენობა სულ რაღაც 10 გრამით შემცირდეს. ანუ, თუ თქვენ 1 ლიტრი ღვინო დალიეთ, ალკოჰოლისგან სრულ განთავისუფლებას ორგანიზმი დაახლოებით სამი დღე-ღამეს მოანდომებს. ღვინოს ხშირი და უზომო სმა საზიანოა როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე გარემო მყოფთათვისაც. თუმცა, ერთიდან სამ ჭიქამდე (100-300) გრამი ღვინოს სადღის დროს მიღება ზრდასრული და ჯანმრთელი ადამიანებისთვის საფრთხილი საკმარისია, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ღვინოს სასარგებლო თვისებები. ამგვარი მოხმარება ორგანიზმზე ყოველმხრივ დადებითად მოქმედებს.

რეზო გათიაშვილი

ბოლო ხანს საპარტიო-საზოგადოებაში, განსაკუთრებით მიდიაში, პოლიტიკოსებსა და პოლიტიკოლოგებს არც ერთ ხელშეკრულებას ისეთი ინტერესი და აზრობა არ გამოუწვევია, რომელიც მათთვის ხელშეკრულებაა. ზოგი რას წინააღმდეგობას უწევს, რაც თავისთავად გადას იწვევს, რომ ხელშეკრულება არაა არაფერი, თვალთვალს არ უნახიათ.

მაინც რამ გამოიწვია თითქმის 100 წლის წინათ დადებული ხელშეკრულებისადმი ისეთი ინტერესი? — უპირველესად იმან, რომ მას თურქი „ვადა ბას-დის“, ანუ 2021 წელს ის შეწყვეტის მოქმედებას.

ყარსის ხელშეკრულების თაობაზე, საქართველოს საზოგადოებამ, ცხოვრების დამოუკიდებლად დაწყების შემდეგ გაიგო. მანამდე თითო-ორი ისტორიკოსის განსჯის საგანი თუ იყო ის, რამეთუ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ხელშეკრულებას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის შექმნისთანავე, მასში შემავალმა რესპუბლიკებმა საგარეო ურთიერთობებისა და ქვეყნის თავდაცვის საკითხების მოგვარება მოსკოვს გადააბარეს.

„მეგობრობის ხელშეკრულებას სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ერთი მხრივ და თურქეთის, მეორე მხრივ, დადებული რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მონაწილეობით ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს“ — ხელს აწერენ **ა. მრავიანი, მ. მაკინიანი, ბ. შახტაინსკი, შ. ველიაი, ა. სვანიძე, ი. განცეკი**, თურქეთის მხრიდან **ქიაზიმ ქარაბეკი, ველი, მუსტაფა, მემდუხ შევეტი**. საქართველოს მხარეს წარმოადგენდნენ **შალვა ელიავა** — სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი; **ალექსანდრე სვანიძე** — საგარეო და ფინანსთა საქმეთა კომისარი. რაც შეეხება რუსეთის მხარეს, მას წარმოადგენდა **იაკოვ განცეკი** — სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში.

ხელშეკრულების რატიფიკაცია 1921 წლის 20 ივლისს გაიმართა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ხოლო სარატიფიკაციო სიგელების გაცეცა 1921 წლის 22 სექტემბერს მოხდა ქ.ყარსში.

თურქეთის უმაღლესმა ეროვნულმა კრებამ ხელშეკრულების რატიფიკაცია 1921 წლის 31 ივლისს მოახდინა.

სარატიფიკაციო დოკუმენტს ამიერკავკასიის არც ერთი რესპუბლიკის წარმომადგენლის ხელმოწერა აღარ აქვს, მას ხელს გიორგი ჩიჩერინი — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარი და საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი აწერს. სარატიფიკაციო სიგელების გაცეცის დღიდან დაწყებული ეს ხელშეკრულება აღარც ხელისმომწერებს გახსენებით და აღარც საზოგადოებას.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ისე გადაიკეტა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი, არათუ ყარსის ხელშეკრულების პუნქტების ამოქმედება — თურქეთის მხრიდან ბათუმთან თავისუფალი მიმოსვლა, შესაბამისი თავისუფალი ვაჭრობით და ა.შ., არამედ ლამის ბელურების გადაფრენ-გადმოფრენაც აიკრძალა.

ყარსის ხელშეკრულება 1944-45 წლებში გაიხსენეს კრემლში და ავტორი „ძველი სიყვარულის“ გახსენებისა იოსებ სტალინი იყო. მან პოლიტიკურზე გულისხმობა გამოთქვა მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულების მიმართ. მოსკოვის ხელშეკრულება (რუსეთ-თურქეთს შორის) რამდენიმე თვით (1921 წლის 16 მარტი) უსწრებდა ყარსის ხელშეკრულებას.

სტალინმა დაავალა ვიანესლავ მოლოტოვს — საგარეო საქმეთა მინისტრს, გადაეხედა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის, მისი შეცვლის მიზნით, რამეთუ აღნიშნულით დიდი დანაკლისი (ტერიტორიული) განიცადეს სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებმა. მოლოტოვმა დაიბარა თურქეთის ელჩი და ნოტა გადასცა, თან ისიც და-



ყარსის ხელშეკრულება საფრთხობელა არ არის!

უმატა, რომ სსრკ ცალმხრივად გამოდიოდა ხელშეკრულებიდან.

ყარსის ხელშეკრულების შესახებ პოტსდამის 1945 წლის „სამეზულის“ კონფერენციაზეც გაუღერდა, თუმცა, საბჭოთა დელეგაციამ მხარდაჭერა ვერ პოვა. სულ სხვაგვარად წარმართებოდა ამ ხელშეკრულებისა და თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების ბედი, რომ არა ატომური ბომბის აფეთქება.

ყარსის ხელშეკრულებას მას შემდეგ მიაქცია საქართველოს საზოგადოებამ ყურადღება, როდესაც ოფიციალურმა თბილისმა (გამსახურდას მმართველობის დროს) გაავრცელა ერთი „პატრიოტული“ მოსაზრება — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების თაობაზე. იდეა აიტაცა აჭარის ავტონომიის „მრგვალი მაგიდის“ ხელმძღვანელმა იმანაქი და ისეთი ქიაკოკმა დაანთო, უარესს რომ ვერ ინატრებდა კაცი.

მე მაშინ საქართველოს უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსი გახლდით და კარგად მახსოვს, რა მოჰყვა ეროვნული ხელისუფლების დაუფლებელ განცხადებას, როგორც ქვემო ქართლში, ისე აჭარაში. ასლან აბაშიძე, ის-ის იყო შეუდგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობას (მანამდე თბილისში საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა) რომ ატყდა სახალხო ჯანყი.

ვისაც ნანახი აქვს ამ „რევოლუციის“ ვიდეო-კადრები — ბათუმის სამთავრობო დაწესებულებების შენობების მომიტინგეთა მიერ ძალისმიერი დაკავება, უმაღლესი საბჭოს შენობის ალყაში მოქცევა, შეიარაღებული ხალხის ქუჩებში გამოსვლა, დამერწმუნება, რაოდენ დიდი იყო აჭარელთა სურვილი ავტონომიის სტატუსის შენარჩუნებისა. მეამბოხეთა მორევში თავით გადასვებულმა აბაშიძემ, ყველაფერი იღონა ხალხის დასამშვიდებლად, დაპირდა რა მას ავტონომიის დაცვა-შენარჩუნებას.

იქიდან მოყოლებული, ასლან აბაშიძე — აჭარის ავტონომიის მეთაური — გამოდგებოდა მოუწოდებდა თბილისელ „პოლიტიკოსებს“, თავი შეეკავებინათ აჭარის ავტონომიის გაუქმების თემაზე საუბრისგან, რამეთუ მისი არსებობა (აჭარის ავტონომიის) სისხლბოროტულად უკავშირდებოდა ყარსის ხელშეკრულებას.

აჭარის მეთაურსა და საქართველოს „მოქალაქეთა კავშირის“, განსაკუთრებ-

ით მის ახალგაზრდულ ფრთას შორის ურთიერთობა რომ დაძაბული, ხშირ შემთხვევაში მტრული იყო, მტკიცება არ სჭირდება. ე.წ. ახალგაზრდა რევოლუციონერები, ისე, როგორც თავის დროზე გამსახურდას ხელისუფლების წარმომადგენლები, არაფრად აგდებდნენ ყარსის ხელშეკრულებას. ისინიც თვლიდნენ, რომ აჭარა და ავტონომია შეუთავსებელი ცნებებია.

მაშინდელი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რ.ადამია წერდა: „ყარსის ხელშეკრულება პრაქტიკულად, სამართლებრივ საფუძველზე გაუქმებულია“.

კიდევ უფრო ღრმად შეტობა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ფიზიკოსმა კახა ჩიტაიამ, რომელმაც სერიოზული, პოლიტიკოსისთვის შეუფერხებელი ვნებებიც გამოაქვეყნა: „უნდა ბატონ ასლან აბაშიძის განცხადებას, მიმართულს ქვეყნის ინტერესების, მისი მომავლის, ხალხის კეთილდღეობის წინააღმდეგ.“

„ბატონმა კახამ, ვითარცა საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემატიკის „დიდოსტატმა“, დაბეჯითებით გვამცნო, რომ დღეს ეს ხელშეკრულება აღარ მოქმედებს; რომ ყარსის ხელშეკრულებაზე საერთოდ აღარ იქნება საუბარი, რადგანაც ეს აბსურდული, მიუღებელი და დაუსწებელია“ — წერდა საერთაშორისო სამართლის უდავო ოსტატი, პროფესორი ნოდარ კვიციანი და იქვე აღნიშნავდა: „როცა რომელიმე საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტზე საუბრობ, განსაკუთრებით ხელშეკრულებაზე ორ სახელმწიფოს შორის, რომელიც სამართლებრივი ნორმაქმნალობის ფუნქციას ასრულებს და არა „შეთანხმებაზე“, რომელიც ლოკალურ საკითხებს აწესრიგებს, ისიც უმეტეს შემთხვევაში დროის გარკვეულ მონაკვეთში, ფიქრობს სრულიად აუცილებელია განსჯადი დოკუმენტის ზედმიწევნით ზუსტი ცოდნა და ანალიზი. ამ თვალსაზრისით კი ყარსის ხელშეკრულებაში საკმაო რამაა ფიქსირებული“.

აი, როგორია ამ ხელშეკრულების მე-სუთე მუხლის შინაარსი: „თურქეთი თანხმდება, დაუთმოს საქართველოს სიუხერენიტეტი (უფლებამოსილება. რედ.) ქალაქსა და ნავსადგურ ბათუმსა და ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების IV მუხლით მითითებული საზღვრის ჩრდილოეთით ძველ და შეადგენს ბათუმის ოლქის ნაწილს, იმ პირობით, რომ:

1. მოსახლეობა ამ ადგილებსა, რომლებიც ამ მუხლშია მითითებული, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემისთვის მის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს და მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, დაადგინოს მითითებულ ადგილებზე მინის კანონი, რომელიც შეესაბამება მის სურვილებს.

2. თურქეთისთვის უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარი საქონლის თავისუფალი ტრანზიტი, რომელიც გაიგზავნება თურქეთში და თურქეთიდან, ბათუმის ნავსადგურის გავლით, უბაჟოდ, რაიმე შეფერხების გარეშე და ყოველგვარი გადასახადით მათ დაუბეგრავად, თურქეთისთვის ბათუმის ნავსადგურის სარგებლობის უზრუნველყოფით ამაზე სპეციალური გამოცხადების გადაუხდელია“.

ყარსის ხელშეკრულებაში არსად არ არის მითითებული მისი ხანგრძლივობის ვადა. მცდარია მოსაზრება იმასთან მიმართებაში, რომ 100 წლის ვასულის შემდეგ ნებისმიერი ხელშეკრულება კარგავს ძალას. ეს, ის ხელშეკრულებაა, რომელიც არავითარი ვადით არ იზღუდება.

მცდარია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ყარსის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ვინაიდან აღარც ერთი და აღარც მეორე, ხელშეკრულება ავტომატურად ძალადაკარგულია.

მცდარია მოსაზრება, რომ საქართველოს შეუძლია ცალმხრივად გამოვიდეს ხელშეკრულებიდან. დავუშვათ ეს ასეც მოხდა, ამით ძალას დაკარგავს ხელშეკრულება? არამცააარამც — საქართველო მარტო არ არის. მასთან ერთად ხელს აზერბაიჯანი და სომხეთიც აწერს, რომ აღარაფერი ვთქვათ თურქეთზე.

ხელშეკრულების გაუქმება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი ყველა ხელმოწერილი მხარე შეთანხმდება ამაზე. შეცდა რუსი პოლიტოლოგი, როდესაც განაცხადა, რომ რუსეთი გამოივა ყარსის ხელშეკრულებიდან და ამით ხელშეკრულება დაიშლება. მაგრამ რუსეთი რომ ხელშეკრულების მხარე არ არის, ის მხოლოდ დამსწრეა.

დავუშვათ ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი გამართლდა და ხელშეკრულება მართლაც ისტორიას ჩაბარდა, რა ვუყუთ 1992 წლის 30 ივლისს ფართომასშტაბიან „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულებას“? მის პრეამბულაში ხელწერილად გარკვევითაა დაფიქსირებული: „მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებით“.

მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის.

მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს ყარსის ხელშეკრულება ისე დაიშლება, როგორც 100 წლის წინათ. და არა მარტო 2021 წელს, არამედ ერთი იმდენსაც, თუ რაიმე სხვა, კატაკლიზმის მსგავს მოვლენას არ ემყარება ადგილი კავკასიასა და მიმდებარე რეგიონში.

ჩემი აზრით, თურქეთს ყარსის ხელშეკრულების გაუქმება ან მისი „ხანდაზმულობის“ აღმარება არ აქვს ხელს, რადგანაც მაშინ სავსე-ვსოვლად აქცევს ყოველივე იმას, რაც მან მოიპოვა ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოსთან მიმართებაში და არა მარტო საქართველოსთან, არამედ სომხეთთან და აზერბაიჯანთანაც!..

კამილ შივაშვილი, პოლიტოლოგი.





სისარტყელა ჭიქა-ქუხილის შედეგ...

გიჟიქრიათ, თუ რატომ ხართ წარუმატებელი?

წარმატების შეფასება შესაძლებელია უმარავე სხვადასხვა საშუალებით. წარმატებულობასთან მიმართებაში ყველაფერი მარტივია. თქვენ არ შეასრულეთ დასასრული ამოცანა და მორჩა, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ დაგაგებათ ამ ამოცანის შესრულება, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამოცანა ვერ შეასრულეთ. გინდათ გაიგოთ, რატომ ვერ აღწევთ წარმატებას? იძნეოთ ეს პასუხები დაგაგებართ.

თქვენ არ აუხსნებთ დროს
წარუმატებელი ადამიანები საერთოდ არ აფასებენ დროს. ნებისმიერი წარმატებული ადამიანი გეტყვით, რომ დრო ყველაზე ფასეული რესურსია. ადამიანები, რომლებიც აღწევენ წარმატებას, დროს ფულზე მაღლა აყენებენ. თქვენ რას საქმიანობთ? კითხულობთ Twitter-ს, დროს ფლანგავთ საიტის თვალყურებაში, Facebook-ზე ალაიკებთ ფოტოებს — ეს დროის ფუჭად დაკარგვაა.
არადა, ყოველწლიურად გეგმავთ რაღაცას, საკუთარ თავს ჰპირდებით, რომ ამ წელს ბევრს იმუშავებთ. ასე თქვენ გეგმებს ვერასოდეს განახორციელებთ და ეს იმიტომ, რომ თქვენ წარმატებას, თანადროს ამოცანების შესრულებას. ისწავლეთ საკუთარი დროის მართვა, ისწავლეთ თქვით „არა“ — ეს იქნება წარმატებისკენ გადადგმული ნაბიჯი.

თქვენ არ აკეთებთ იმას, რას შეასაბამებთ თქვენს მიზნებს
აუტსაიდერები ერთმანეთში ურევვენ დაკავებულობას და პროდუქტიულობას. შეცდომით თვლიან, რომ პროდუქტიულობა პირდაპირ კავშირშია დაკავებულობასთან. ამიტომ, წარუმატებელი ადამიანები ყველაფერს ერთად კეთებენ: იწყებენ. ისინი მონაწილეობენ ყველაფერში, შედეგად კი საკუთარ ძალისხმევას ფუჭად ხარჯავენ. ერთადერთი, რაშიც ისინი ძალისხმევას არ დებენ, ეს არის მათი მიზნები და ფასეულობები.
ჩაინერეთ თქვენი მიზნები და მათი მიღწევის სტრატეგია. ეს დაგეგმვით, განსაზღვრით საით უნდა მიმართოთ თქვენი ძალისხმევა. „საქმეს უფრო კარგად შეასრულებ, როცა მას სერიოზულად თვლი“.

თქვენ არ იღებთ პასუხისმგებლობას
დიახ, თქვენი ახალი ბოსი ნამდვილად უვარგისია და თქვენ რეალურად ვერ იტანთ თქვენს სამსახურს, მაგრამ ეს არ არის საბაბი, რომ ყველაფერი ერთიანად აკეთოთ. თქვენ ფულს გიხდიან იმისთვის, რომ სამსახურში იმყოფებოდეთ და ხარისხიანად ასრულებდეთ დაკისრებულ მოვალეობას. საჭიროა ისწრაფოდეთ სრულყოფილებისკენ, მიუხედავად იმისა, თუ რა გარემოებებში ხართ. ამას ჰქვია სწორი ხედვა და სიბრძნე. წარუმატებელი ადამიანებს საკმაოდ აკმაყოფილებთ ცუდი შეფასება. ისინი არ ფიქრობენ უკეთესობისკენ სვლაზე.

ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი წესი მდგომარეობს იმაში, რომ ის გიბრუნებთ ზუსტად იმ ძალისხმევას, რასაც თქვენ მასში დებთ.

თქვენ თქვამთ ზღაპრით სავსე თქვენს
„მე ციფრებთან ვერ ვარ კარგად“, „მე ვერ ვსწავლობ ენებს“, „ჩემ ტვინს არ შეუძლია პროგრამირების შესწავლა“, „მე არასაკმარისად მყარი ვარ იმისათვის, რომ საკუთარი ბიზნესი ვანარმოო“ — ეს არის წარუმატებელი ადამიანების ფრაზები. ისინი თავად იზღუდავენ საკუთარ თავს. დაივიწყეთ იმის შესახებ, რომ ცოდნისა და უნარების შეზღუდული ნაკრები გაქვთ. შეწყვიტეთ ფიქრი, რომ გარშემო ყველა თქვენზე მეტად ჭკვიანია. ჩადეთ მეტი ძალისხმევა, დაიხარჯეთ ბოლომდე. ამის შემდეგ გახდებით წარმატებული.

თქვენ თქვით მართლაც ისტაბილურ ხართ
წარუმატებელი ადამიანები ყოველთვის ეძებენ საკუთარი წარუმატებლობის ლოგიკურ მიზეზებს. ისინი ეძებენ მიზეზებს, თუ რატომ არ უნდა გაეკეთებინათ ესა თუ ის საქმე. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ისინი ამ მიზეზებს ნახულობენ. წარუმატებელი ადამიანები აჭარბებენ იმ მიდგომასთან დაკავშირებით, რასაც ჰქვია „რეალისტობა“. ისინი მუდმივად ნახულობენ საკუთარი უმოქმედობის გამართლებას. არადა, წუწუნის ნაცვლად მათ შეუძლიათ იმოქმედონ. როცა ტვინი იწყებს გამართლების ძებნას, უნდა გაჩერდეთ და გააქტიუროთ ის მექანიზმი, რომელიც გეხმარებათ გაგიღვივდეთ რაიმეს კეთების სურვილი.

თქვენ არ შეგიძლიათ აღამიანებთან ურთიერთობა
წარუმატებელი ადამიანებს არ გააჩნიათ სოციალური უნარები. „მე მეტ-ნაკლებად გულახდილად ვსაუბრობ“, „მე ისეთი ვარ, როგორც ვარ და შეეგუე ამას“ — ასეთი ფრაზები ახასიათებთ წარუმატებელ ადამიანებს. ისინი ქედმაღლურად იქცევიან, რისი საფუძველიც არ გააჩნიათ. მსგავსი ტიპაჟები არავის არ მოსწონს, ამიტომ ერთდღეს ასეთ ქცევას. ძალიან მარტივია თავაზიანი და კეთილგანწყობილი იყოთ მათ მიმართ, ვინც მოგწონთ. ეცადეთ, კარგად მოიქცეთ მათთან, ვისგანაც არაფრის მიღების იმედი არ გაქვთ.

არსებობს კარგი გამოთქმა, რომ ადამიანის ხასიათის შესაბამისად საუკეთესო საშუალებაა რიგში დგომისას და მომსახურე პერსონალთან მის ქცევაზე დაკვირვება. ადამიანის გაცნობის კიდევ ერთი კარგი საშუალებაა დააკვირდეთ მის რეაქციას, როცა მის ნივთს გააფუჭებთ.

თქვენ ყველაფერი სამომავლოდ გადაგაქვთ
ყველაზე სასაცილო ის არის, რომ წარუმატებელი ადამიანები თავად ეძახიან საკუთარ თავს „ზარმაცს“ და ამის საერ-

თოდ არ რცხვენიათ. მათ საერთოდ არ ესმით დროის ფასი. მათ აბსოლუტურად აწყობთ გუშინდელი დღით ცხოვრება. წარუმატებელი ადამიანები ცხოვრობენ ისე, თითქოს მარაგში კიდევ ერთი ცხოვრება აქვთ. სამწუხაროდ, არა-არა აქვს ცხოვრების დაპაუზების ან უკან გადახვევის საშუალება. გაითავისეთ, რომ თქვენ კვდებით იმ მომენტიდან, როცა დაიბადეთ. ყოველი დღე საჩუქარია. თქვენ შეგიძლიათ აკეთოთ ის, რაც გსურთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ სვალინდელი დღე, შეიძლება არც კი დადგეს.

თქვენ არ მოქმედებთ
ეს ძალიან მარტივი წესია წარუმატებელი ადამიანებისთვის. ისინი ამჯობინებენ იფიქრონ, მაგრამ არ იმოქმედონ. ისინი ლამაზად საუბრობენ, ოცნებობენ და გეგმავენ და მიუხედავად ამისა, მათ არ ჰყოფნით ბიძგი მოქმედების დასაწყებად. შეწყვიტეთ ოცნება — დაიწყეთ მოქმედება!

თქვენ არ შეგიძლიათ ახკოლოთ სიტუაციას
არსებობს ერთი ლეგენდა. ის ამბობს, რომ ერთ დროს ცხოვრობდა მწყემსი, რომელიც დაბალი იყო და არ შეეძლო მემორარი ყოფილიყო: მან შეხედა გოლიათს და თქვა: „მე მოგვეყვი და მოგვეყვი თავ თავს!“ — მან ეს გააკეთა. გამოცდა იმდენად რთულია, რამდენადაც თქვენ ის წარმოგიდგენიათ და რამდენადაც გაძლევთ ამის უფლებას თქვენი სისუსტე. წარუმატებელი ადამიანებს ეს არ ესმით და მალევე ნებდებიან. ისინი ნებდებიან იმ მომენტში, როცა სიტუაცია ხდება არაკომფორტული.
არ არსებობს ვარდი უეკლოდ, ადამიანი შრომის გარეშე და ცისარტყელა ქექა-ქუხილის გარეშე. გამოცდა არამარტო გვახლოვებს მიზანთან, არამედ ჩვენგან ქმნის ისეთ ადამიანებს, როგორც არც კი გვოცნებია. ნუ დანებდებით შიშს, ებრძოლეთ მას. ეს ახალ სივრცეს გაგიხსნით. დიახ, ჩვენ ისევე იმაზე ვსაუბრობთ, რომ საჭიროა კომფორტის ზონიდან გასვლა. საკუთარი ძალის გასაგებად საჭიროა ბრძოლა.

თქვენ ანათიური ხართ
თქვენ არ გაგაჩნიათ საკუთარი მოსაზრება და არ შეგიძლიათ გადამწყვეტილების მიღება. არ შეგიძლიათ გონივრულ საუბარში ჩართვა, დაიდა ფიქრი თუ თქვენ თქვენი ცოდნის სფეროდან არ არის. წარუმატებელი ადამიანები ფიქრობენ, რომ ყველამ მათსავით უნდა იფიქროს. ისინი არ კითხულობენ წიგნებს, არ აკრძალავენ სწავლას სკოლის შემდეგ. მაქსიმუმ ამთავრებენ ინსტიტუტს, რადგან „ასეა საჭირო“. მაშინაც კი, თუ საკუთარი პოტენციალის საზღვრამდე ვერ მივლენ, არ აინტერესებთ ეს, არ ადარდებთ. მათ შეუძლიათ მოწყენილი იყვნენ საოცრებებისა და ბედნიერების სამყაროშიც კი.
ყველაზე ჩუმი მკვლელი — ეს არის აპათია. მოძებნეთ გასართობი თქვენთვის, დაკავდით საყვარელი საქმის კეთებით. გამოიყენეთ თქვენი ნიჭი და მოუძებნეთ მას გამოყენების გზა.

დედაჩემის ზურგზე

მინდელაქვის ტაბულაში ოთხი ახალი ილემენტი შეიტანეს
ჯერჯერობით ყველა მათგანი დროებით სახელწოდებას ატარებს, მაგრამ ხუთი თვის შემდეგ ტაბულაში გაჩნდება მათი მუდმივი სახელები. სამი მათგანისთვის სახელის მინიჭების უფლება ეკუთვნის რუსი და ამერიკული ჯგუფის მეცნიერებს. მეოთხე ელემენტს სახელწოდებას იაპონელი მეცნიერები მისცემენ.

გენიჩისპირი დაბადებულნი ძალადი გაზით მომარბაბაა მირიმიდან, „ნაგ-ტოგაზო“ ის ცნობა უარყვას

ადრე პესკოვი იტყობინებოდა, რომ მერმა ქალაქისა, რომელიც ვირიის საზღვართანაა, დახმარებისთვის პუტინს მიმართა. მოსკოვსა და ვირიში საუბრობდნენ, რომ გაზის რევერსი უკვე დაიწყო. მაგრამ გენიჩისპირს მერმა განაცხადა, რომ არანაირ პრობლემასთან დაკავშირებით პუტინისთვის არ მიუმართავს.

ოგამა აპირებს მიიღოს ზომები იარაღის ბრუნვის შეზღუდვის შესახებ კონგრესის გვირდის ავლით

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი სამშაბათს დღისით გამოაცხადებს ზომების მიღების შესახებ ქვეყანაში იარაღის ბრუნვაში კონტროლის გამკაცრების თაობაზე. კონგრესი მრავალი წლის განმავლობაში წინააღმდეგი იყო ამგვარი ზომებისა, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა გადაწყვიტა, გვერდი აეგლოთ მისი მონაწილეობისათვის.



პენტაგონში განაცხადეს, რომ რუსეთი წარმოადგინა საფრთხის აფხა და მოკავშირეებისათვის

ეროვნული უშიშროების ახალი სტრატეგია, რომელსაც პრეზიდენტმა პუტინმა ხელი მოაწერა ახალი წლის წინა დღეს, გაგლენას არ მოახდენს ამერიკის შეერთებული შტატების შეხედულებებზე, განაცხადეს პენტაგონში. უფრო მეტიც, სწორედ რუსეთი წარმოადგინს დიდ საფრთხეს, მიანიათ ამერიკის სამხედრო უწყებაში.

სახელმწიფო დაპატარავდება არ ისურვის ყოფილი მონაწილეობისა და ირანს შორის

თეთრ სახლში შეგახსენეს, რომ არაერთგზის აფრთხილებდნენ სამეფოს ხელისუფლებას შიტი მღვდლის სიკვდილით დასჯით შესაძლო შედეგების შესახებ, მაგრამ მათ ეს ყურად არ იღეს. ამერიკის შეერთებული შტატებში აღნიშნეს, რომ ცდილობენ, ხელი შეუწყონ წარმოქმნილი კონფლიქტის მოწესრიგებას, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შუამავლის როლის კისრებას არ აპირებენ. ადრე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ამ როლს სიამოვნებით იკისრებენ.



მძივა მამაკვიდროვა

თბილისის მერიამ საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის“ ალტერნატიული ფართობის გამოყოფის საპროექტს განიხილა

საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის“ ალტერნატიული ფართობის გამოყოფის საპროექტს განიხილა მერიამ...

დავით ნარმანიას განცხადებით, გუშინდელ შეხვედრაზე განიხილეს თუ რომელი ტერიტორია შეიძლება იყოს საფეხბურთო სკოლა „ოლიმპისთვის“...



ჭაღრაპი

მერიის თასი - გიგა ყუფარაძეს

წინა მატჩში მარტინის სახელობის თბილისის ჭაღრაპის სასახლეში სახალწლოდ გამართა მოჭაღრაკეთა ტრადიციული ბლიც-ტურნირი...



საქმეთა განყოფილების უფროსმა გეგა ზურაბაშვილმა, საქართველოს ჭაღრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ და ტურნირის დირექტორმა ზურაბ მიქაძემ დააჯილდოვეს.

ლემსო ცინცაძე სურათში: გიგა ყუფარაძე (მარცხნივ) და გეგა ზურაბაშვილი. მათხ დანელიძის ფოტო.

ახალი სისვლი

„რეალმა“ ბენიტოსი ზიდანიტ ჩაანაცვლა

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე გუნდის მთავარი მწვრთნელის რაფაელ ბენიტესის დათხოვნის შესახებ განაცხადა...

„კლუბის ხელმძღვანელობამ ბენიტესის განთავისუფლების შესახებ არცთუ იოლი გადაწყვეტილება მიიღო. ამ ვერდიქტის გამოტანა განსაკუთრებით რთული იყო ჩემთვის, რადგან რაფაელი დიდებული პროფესიონალი და კარგი ადამიანია. „რეალის“ ახალი მთავარი მწვრთნელი ზიდანი იქნება და მე სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ მისთვის სიტყვა „შეუძლებელი“ არ არსებობს“ - განაცხადა პერესმა.

სხვა სიტყვებით, რომ ბენიტესმა „სამეფო კლუბი“ გასული წლის ივნისში ჩაიბარა, თუმცა, მალევე გაჩნდა ცნობები, რომ ის „რეალის“ ვარსკვლავებთან საერთო ენის გამოწვევას ვერ ახერხებდა.



ინფორმაცია თემაში

ბეჰემი „რეალის“ ხელმძღვანელობას გადაწყვიტა უსწავლოს

მადრიდის „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი დევიდ ბეჰემი „სამეფო კლუბის“ მთავარ მწვრთნელად ზინედინ ზიდანის დანიშნვას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ესპანური გრანდის ხელმძღვანელებმა საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღეს.

თვის და ბერესისთვის საყვარელ კლუბს. ეს ის ადამიანია, რომელიც წარუმატებლობას ვერ შეეგუება ვერცერთ დონეზე. მას ყველაფერი აქვს, რომ კლუბს გამარჯვებები მოუტანოს. ამ სამსახურისთვის საუკეთესო კანდიდატი შეარჩიეს“ - დაწერა ბეჰემმა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე.



კობა კოხანიაძე

სეზონი

სტუ და „ბათუმი“ დანინაურდენ

საბრტეშელს ხელბურთელ ვაჟთა 2015-2016 წლების ეროვნულ ჩემპიონატში რვა გუნდი ჩაება. დასავლეთის გუნდებმა (ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“, „სამტრედიო“, „ქუთაისი“, ფოთის „ოქროს ვერდი“), როგორც გუნდები, ქუთაისის სპორტის სასახლეში იასპარეზეს, ხოლო აღმოსავლეთის ოთხ გუნდს (თბილისის სტუ, „პეგასი“, „ქარიშხალი“, თელავის „იმედი“) სასპორტო კომპლექსმა „არენამ“ უმასპინძლა.

მეორე ტურში სტუ-მ „იმედს“ პირველი ტაიმი 20:15 მოუგო, შესვენების შემდეგ ხუთბურთიანი უპირატესობა შეინარჩუნა და 34:29 გაიმარჯვა. „პეგასმა“ პირველი ტაიმის დასაწყისში „ქარიშხალს“ მოთოკა და 5 ბურთით გაიტანა წინ. ეტყობა, საქმე მომთავრებულად მიიჩნია და კინაღამ დაისაჯა - შესვენებამდე მეტოქემ ჯერ წონასწორობა აღადგინა, მერე სამი ბურთითაც დანინაურდა (21:18), თუმცა, „ქარიშხალს“ მეორე ტაიმში ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო და 36:39 დამარცხდა.



სპარეზობის დასკვნით დღეს დაძაბულად წარიმართა ჯგუფის ფაორიტების - სტუ-ს და „პეგასის“ ორთაბრძოლა. შეხვედრის პირველ ნახევარში ანგარიში კარგა ხანს თანაბარი იყო, მაგრამ 37-ე წუთზე „პეგასი“ ერთი ბურთით გავიდა წინ - 21:20. მატჩის მიწურულს ჩემპიონებმა იძალეს და 34:31 გაიმარჯვეს. დრამატულად მიმდინარეობდა „იმედისა“ და „ქარიშხალს“ შეხვედრა. პირველ ტაიმში „იმედი“ 20:18 დანინაურდა, თუმცა მეორეში „ქარიშხალს“ ხელბურთელებმა უკეთ ითამაშეს და მატჩიც 38:34 მოიგეს.

3-3 მატჩის შემდეგ: ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“, სტუ - 6-6; „სამტრედიო“, „პეგასი“ - 4-4; „ქარიშხალი“, „ქუთაისი“ - 2-2; „იმედი“, „ფოთი“ - 0 ქულა.

ჩემპიონატი წლეულს გაგრძელდება - 8 გუნდი ორ წრედ 14-14 მატჩს გამართავს, 4 საუკეთესო კი ფინალში მედლებისთვის იბრძობება.

ლაზა დიდი

ლეგიონერი

მეტრეველი კარიერას „იუვე კაზერტაში“ გააგრძელებს

მარტინი კალათბურთელმა ნიკა მეტრეველმა, რომელიც 14 იანვარს 25 წლის გახდება, იტალიური „ბეტალანდ კაპო დ'ორლანდო“ დეტრეშა კარიერას სერია ა-ს ბინადარე „იუვე კაზერტაში“ გააგრძელებს. ამ ინფორმაციას Sportando.com ავრცელებს.

ჩატარება მოასწრო, მისი საშუალო მაჩვენებლები კი ასეთი იყო: 15.5 წუთი, 4.1 ქულა და 3.4 მოხსნა. ისიც ვთქვათ, რომ „ბეტალანდ კაპო დ'ორლანდო“ 4 მოგებით და 11 მარცხით 16-გუნდიან ლიგაში ბოლო ადგილზეა.

ცნობისთვის: მიმდინარე სეზონში ქართველმა ფორვარდმა ორლანდოელთა მაისურით 14 მატჩის



ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

კრისტიანა პელორა საქუთარი პრეზენით ავაყოფს

მთიულეში ესპანეთში იცის, რომ მიტყვევით და მიყურისძირებულ „რაიო ვალეკანოს“ ისეთი დიდებული ქომბაგი ჰყავს, რომ ბევრი ადამიანი ამ კლუბისადმი ინტერესს უპირველეს ყოვლისა, ამ დიდებული ქალის გამო იჩენს. „რაიოს“ სომ არც მეტი, არც ნაკლები, უმშვენიერესი ესპანელი მოდელი კრისტიანა პელორა გულშემატკივრობს.

კრისტიანა პელორაზე ჯერ კიდევ წლების წინათ იტვირთა ამ არცთუ წარმატებულ კლუბის ქომბაგობის მძიმე მისია და მსრუდითა და მკერდით ისე დააბრუნა, როგორც მეტყველებს საუკუნის მკვიდრი ვერელი მრეცხავი ქალი ვარდო სარეცხით სავსე სათლს და უფრო მეტიც - კრისტიანას ეს სვედრი დიხასაც რომ ეამაყება!

ამას წინათ კრისტიანა პელორაზე კიდევ ერთხელ შემოიბარცვა, რაც კი ტანთ ემოსა, თამამი ფოტოები აახლა საზოგადოებას და ამ წამოლაკვაში აღებული თანხა მთლიანად გადაურიცხა საყვარელ კლუბს. აბა, ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს კი არა ჰგავს, სიტყვით რომ დიდი ქომბაგები არიან და საქმე საქმეზე როცა მიდგება, გინების მეტი არაფერი ემეტებათ... „საყვარელი“ გუნდისათვის... როსტომ რაჭველიშვილი



ღევილია

სუსის ღევილის პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო

ოპერატიული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ იპოთეკური სესხის დაფარვის პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო. განაცხადების მიღება 2015 წლის 3 დეკემბერს დაიწყო და 25 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდა. პროექტის ფარგლებში, ფულადი დახმარება გაიცა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებსაც 2015 წლის პირველ იანვარამდე იპოთეკური სესხით შეძენილი აქვთ საცხოვრებელი სახლი (ბინა) და ის ოჯახის ერთადერთ კერძო საკუთრებას წარმოადგენს. იპოთეკური სესხის დაფარვისათვის ფულადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა ერთ დევნილ ოჯახზე არის არაუმეტეს 20 000 ლარისა. იპოთეკური სესხის დაფარვის პროექტის მეორე ეტაპისთვის საბუჯეტო ასიგნებებიდან 1 000 000 ლარი გამოიყოფა, თუმცა უწყებაში აცხადებენ, რომ, მოთხოვნის შემთხვევაში, ამ თანხის გაზრდის საკითხიც განიხილება.

დევნილი ოჯახებისთვის იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე განაცხადების მიღების პირველი ეტაპი 2015 წლის 14 აპრილიდან დაიწყო და 2015 წლის 15 მაისამდე გაგრძელდა. იპოთეკური სესხის დაფარვის მოთხოვნით განაცხადი 410-მა დევნილმა ოჯახმა შეავსო. სამინისტრომ იპოთეკური სესხი 49 დევნილ ოჯახს დაუფარა.

საპილოტე პროექტის დაწყების მომენტისთვის საქართველოში რეგისტრირებულია 257 ათასამდე იძულებით გადაადგილებული პირი, დევნილთა ოჯახების რიცხვი კი თითქმის 85 ათასს შეადგენს. მათგან მხოლოდ 23 ათასი ოჯახი იყო დაკმაყოფილებული გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით, ხო-


ბინების განაწილების პროცესი. კომისიის შემადგენლობაში, გარდა სამინისტროს თანამშრომლებისა, შედიოდნენ სახალხო დამცველის აპარატის, დანიის ლტოლვილთა საბჭოს (DRC), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR), კონსორციუმი სამართლებრივი დახმარება საქართველოს (LAG), რომელიც 4 ორგანიზაციას აერთიანებს, ასოციაცია „თანხმობის“, ვეტერანთა დეპარტამენტი და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები.



ლო 5 ათასს საცხოვრებლის შესაძენად მიღებული ჰქონდა კომპენსაცია. შესაბამისად, 49 ოჯახი ამ სტატუსიკაში, ცხადია, საერთო სიტუაციას ვერ ცვლის. ამ პროექტის გარდა, სახელმწიფო ცდილობს პრობლემა ბინების შესყიდვითაც გადაჭრას. 2015 წლის ნოემბრის მონაცემებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა გაფართოებულმა კომისიამ დაასრულა თბილისის

ხი, რომლებმაც ამ ეტაპზე მიიღეს ბინა თბილისის ზღვაზე, ე.წ. „ოლიმპიურ სოფელში“, - 330 და ქართველი მენაშენეებისგან გამოსყიდულ კორპუსებში - 231 დევნილი ოჯახი. ცხადია, რომ, ასეთი მოთხოვნის პირობებში, ყოველთვის ჩნდება სოლიდარული კორუფციულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საზოგადოების სამსჯავროზე სახელმწი-

ფო შემდეგ პრინციპს წარმოადგენს: დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი სამი მიმართულებით მიმდინარეობს: გრძელვად და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილი ოჯახების გაყვანა; სასამართლოს ან შემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებისა და სამინისტროს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევნილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით; კრიტიკული შემთხვევების შემთხვევაში გრძელვადიანი განსახლება.



სოსუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ლევან მოსილი მენცერი, მყარი სხეულების სტრუქტურების ელექტრონოგრაფიული და ელექტრომიკროსკოპული კვლევების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, მყარი სხეულების მასალათმცოდნეობის აღიარებული სპეციალისტი **ნუზარ კუსია**

სოსუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია და კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

პანაშვიდი 5, 7, 8, 17 სთ. გამოსვენება 9, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ლილო, სოფელი ნასაგური. ავტობუსი № 22 (მეტრო „ისნიდან“). სამარშრუტო - სოფ. ნასაგური (მეტრო „ისნიდან“).

ნიკო ვეკუაძე

ინფორმაცია

სალხის ბატახვა აკლესიიდან დაიწყო

რუსმა ოკუპანტებმა გორის რაიონის სოფელ ბერშუეთთან ერთი პირი დააკავეს. გატაცებული ადგილობრივი მკვიდრი ლაშა გლურჯიძეა. ის გუშინ მეგობართან, საბა სენიაშვილთან ერთად ტაძარში სალოცავად იმყოფებოდა.

საბა სენიაშვილი რუს ოკუპანტებს გამოექცა, ლაშა გლურჯიძე კი დააკავეს. მას, სავარაუდოდ, რუსების სამხედრო ბაზაზე დაკითხავენ, რის შემდეგაც ცხინვალის იზოლაციაში გადაიყვანენ.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, ლაშა გლურჯიძე და საბა სენიაშვილი სალოცავად სამების ეკლესიაში იმყოფებოდნენ, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა და მათ ე.წ. საზღვარი არ დაურღვევიათ. ამ დრომდე უცნობია რა მიზეზით დააკავეს ლაშა გლურჯიძე.

„გავშვავს სოფელი, ასჯერ მეტი მოფრება უნდათ“...

ბაბა-ბალებში ბავშვთა ფიზიკური დასჯა კანონით აიკრძალება

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სფეროს სპეციალური კანონი დაარეგულირებს. პარლამენტის წევრების ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძისა და ოთარ ჩრდილელის ინიციატივით პარლამენტში ინიცირებულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტი და მისგან გამომდინარე 15 კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი, რომელიც აღნიშნული სფეროს კანონის დონეზე მონერგებასა და ამ მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების როლის და კომპეტენციის განსაზღვრას ითვალისწინებს.

სადღესოდ ერთიანი სამართლებრივი აქტი არ არსებობს, რომელიც უშუალოდ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს დაარეგულირებდა. არსებობს მხოლოდ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ჩანაწერი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს შორის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა არის განსაზღვრული.

რაც შეეხება პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს, როგორც მისი ავტორები განმარტავენ, პროექტში თავმოყრილია ყველა ძირითადი სტანდარტი, რომელმაც ად-



რეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფერო უნდა დაარეგულიროს. კანონპროექტით გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა: ადრეული განათლება და ზრუნვა დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის და სკოლამდელი განათლება 2 წლის ასაკიდან ბავშვის სკოლაში შესვლამდე. კანონპროექტი ნერგავს საყოველთაო სასკოლო მზად-

ლი ან დამამცირებელი მოპყრობა. კანონპროექტის ერთ-ერთი პრინციპია განათლების მომსახურებაში მშობელთა ჩართვა. ამ მიზნით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში საკონსულტაციო საბჭოები შეიქმნება, რომლის 7 წევრიდან 5 - მშობელი, ორი კი, დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგი იქნება.

პროექტით საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება შემდეგი საკითხები: ჯგუფების ჩამოყალიბების წესი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, ჯგუფში ბავშვების რაოდენობა, აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელთა ბავშვებთან თანაფარდობა. კანონპროექტი მკაფიოდ მიჯნავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებებს, დეტალურად განსაზღვრავს ამ სფეროში მთავრობის, სამინისტრო-

ობის პროგრამას ყველა ხუთი წლის ასაკის ბავშვისთვის. კანონპროექტის მიხედვით, თითოეული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას ყველა ბავშვისთვის, ანუ საგანმანათლებლო მიდგომას, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას დაწესებულებებში მათი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

კანონპროექტში ნათქვამია, რომ დაწესებულებაში აკრძალულია ბავშვთა მართ ძალადობა, მათ შორის ფიზიკური დასჯა, უზულებელყოფა, შეურაცხყოფ-

ებისა და მუნიციპალიტეტების კომპეტენციის ფარგლებს. კანონპროექტით ასევე ხდება ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის საკვადებულო წესის შემოღება.

ავტორიზაციას ასორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამხრამეო იურიდიული პირი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამხრამეო იურიდიული პირი განახორციელებს დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგს. ავტორიზაციის წესს კი, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტისთვის საერთო იქნება, მთავრობა განსაზღვრავს. საკანონმდებლო პაკეტის განხილვას პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე დაიწყებს.

შავ ჯღვას კიდევ „გაშავავ“ უნდა?!

თურქულმა გემმა ფოთის ნავსადგური დააბინძურა

ბარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, გემის მიერ შავი ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

თურქეთის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა ფოთის ნავსადგურში ნავთობპროდუქტები ჩაღვარა.

გემის კაპიტანს დაეკისრა ჯარიმა 65 000 ლარის ოდენობით. მასვე მოუწევს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც.

სამართალდამრღვევი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს ჯარიმისა და ზიანის თანხის ანაზღაურების შემდეგ დატოვებს.

რას მოუგანს ევროპას 2016 წელი?

2015 წელი ევროპისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებით ძალიან მდიდარი იყო. როგორი იქნება 2016 წელი? რომელ თემებს განიხილავენ ყველაზე მეტად მასშედიანი? „დღიური ვილი“ მომავალი წლის პროგნოზს გვთავაზობს.

2015 წელი ევროპისთვის რთული იყო. კერძოდ, სერიოზულ გამოწვევად იქცა დევნილების კრიზისი. მხოლოდ გერმანიაში თავშესაფრის მილიონზე მეტი მაძიებელი ჩავიდა. 2016 წელს უნდა მოხდეს ისეთი სამეგრაციო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს – როგორ გავანაწილოთ დევნილები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში? როგორ დავეხმაროთ მათ დასავლურ საზოგადოებაში ინტეგრაციაში? როგორ ავიცილოთ თავიდან დაპირისპირება საფრანგეთის, პოლონეთისა და უნგრეთის მსგავს ქვეყნებში, სადაც მემარჯვენე-პოპულისტური განწყობები იზრდება? ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობას პირველად მიიღებენ ნიდერლანდები და სლოვაკეთი, რომლებიც 2016 წელს ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნები ხდებიან.

2016 წელს ბევრი ეკონომიკური პრობლემაც არ დაკარგავს აქტუალობას. მათ შორისაა საბერძნეთში შექმნილი ვითარება. ევროკავშირის ქვეყნებმა საბერძნეთის დახმარების მესამე პაკეტი შეიმუშავეს, სანაცვლოდ კი რეფორმების გატარების პირობა დაუყენეს.

არჩევნები რუსეთში და NATO-ს სამიტი

სამომავლოდ რუსეთში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, რომელსაც ალექსეი ნავალნის პარტიისა და „რუსეთის რესპუბლიკური პარტია – პარნასისთვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ისინი ერთიანი სიით იყრიან კენჭს. არჩევნების შედეგებს განსაკუთრებული ინტერესით უკრაინაში დააკვირდებიან. ანექსირებულ ყირიმსა და დონბასში ვითარებას რაც შეეხება, 2016 წელს ამ პრობლემის მოგვარებას არ უნდა ველოდეთ.

უკრაინის თემა 8-9 ივლისს NATO-ს სამიტის დღის წესრიგშიც უნდა შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა კონფლიქტის მონაწილეებს შორის კომპრომისის მოძებნა იქნება. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთევიროპელი წევრები (მაგალითად, პოლონეთი) რუსეთთან თავდაცვითი პოლიტიკის გამკაცრებას შეეცდებიან. სირიისა და ერაყის მეზობელი თურქეთი კი, საკუთარი უსაფრთხოების საკითხს დააყენებს. რაც შეეხება აშშ-ს, მისი ინტერესი ალიანსში ერთიანობის შენარჩუნებაა.



მარსის შესწავლა და ევროპის ფინანსური რეფორმები

2016 წლის 14 მარტს, ევროპულ-რუსული ერთობლივი პროგრამის „ევრომარსის“ ფარგლებში, კოსმოდრომ „ბაიკონურიდან“ სტარტს აიღებს ორბიტალური მოდული TGO. მისი მთავარი მიზანი მარსზე სიცოცხლის აღმოჩენაა. პროგრამა რამდენიმე წელზეა გათვლილი. 2018 წელს მარსზე კიდევ ორი აპარატის გაშვება დაგეგმილი. მათ შორის იქნება სრულფასოვანი დასაშვები მოდული.

2016 წელს ფეხბურთის გულშემატკივრებიც მოუთმენლად ელიან. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი 10 ივნისს დაიწყება და მასში მონაწილეობას მიიღებს რეკორდული რაოდენობა – 24 გუნდი. სავარაუდოდ, ევროპული პირველობისთვის ბრძოლის ფავორიტები მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია და ჩემპიონატის მასპინძელი საფრანგეთი იქნებიან. 13 ნოემბერს პარიზში განხორციელდება ტურნამენტის გამო, ჩემპიონატზე უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიიღებენ. ბოლო მატჩის ჩატარება სტადიონ „სტად დე ფრანსზე“ იგეგმება, სადაც 13 ნოემბრის ღამეს რამდენიმე აფეთქება მოხდა.

სიზარცხალი

მომესმა ფხის ბაკური, ზარის ხმა, კარზე კაკური და ბოლმით ფერდაკარგული შემობაკუნდა ბაკური, ბახტურიძეანთ ბაკური... მკითხა:

„კვლავ სკამს რომ იძენსა, ვინ წყალობს მურუსიძესა, და რატომ არვინ იძევსა, რად წასცხო მური მოლაშვილს ჩემს ალალმართალ სიძესა?“

მურუსიძე-ბურუსიძე

მერე გამოჩნდა ჯიმშერიც, ენუქიძეანთ ჯიმშერი: და მითხრა: „ველარ მიშველით მკველელისკენ თითის“

რადგან მეფეა შიშველი! „მან სიმართლის გზა ჩარაზა და ვინც მოერგო ამ დროსა,

მსაჯულობას რომ ანდობსა; რა ვუთხრა გურამ შარაძეს, ბუტას, ირინეს, სანდროსა?“ – მე ვუპასუხე:

„მოეშვი, ხომ კარგად იცნობ მეიშვილს? მგელი მგელობას მოიშლის? „ნაცი“ „ნაცობას“ მოიშლის?

თუმც უკვე წათრეულია, სატანა მაინც იცინის, რომ მისი ათეულია ეს საბჭო იუსტიციის!

რა დიდ სიკეთეს მიზამდა, ვინც ჩემი რწმენა შელახა, დარჩენილიყო სიზმრად და ცხადში არასდროს მენახა?! ალექსანდრე შენგელია, ქუთაისი.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

ღრმი ტიპი ერთმანეთს შეხვდა ქუჩაში. – როგორა ხარ? – ეკითხება ერთი. – არა მიშავს. ერთი ისაა, რომ ანგინა ბაქვს და ვერაფრით ვერ მოვიშორე. – მეც ვიყავი ანგინით ავად, მაგრამ ჩემმა ცოლმა კარგი სექსით მომარჩინა. – შენი ცოლი ახლა სახლში იქნება?

– მისო, მათემატიკის რვეულში რატომ ჩააწებე მამაშენის ფოტო? – ეკითხება შვილს დედა. – მასწავლებელმა მითხრა, ერთი მანახა ის დებილი, ვინც საშინაო დავალების შესრულებაში გეხმარებაო.

მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლის რვეულში ჩაიხედა და გაოგნებული დარჩა მისი ძნელად მისაგვედრი და თავსამტვრევი გათვლებით. – ჩვენ შორის ერთი ნამდვილად გიყვია, მისო! მეორე დღეს მისომ კონვერტი დაუდო მასწავლებელს მაგიდაზე. – ეს რა არის? – ეკითხება მასწავლებელი. – სამედიცინო ცნობაა იმის შესახებ, რომ მე გიყვია არა ვარ.

დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანის ლამაზმანი მძღოლი მოძრაობის შესაბამის ნიშანს არ ემორჩილება და საპირისპირო მიმართულებით მოძრაე მანქანას ეჯახება. – იქიდან მძღოლი გამომოდის და ლამაზმანს ეკითხება: – გოგონი, მართვის მოწმობის მისაღებად გამოცდები ჩაბარებული გაქვთ? – დიახ, დიახ! და თანაც, შენგან განსხვავებით, ბევრჯერ, შე დებილო!

გამომცემი:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მისამართი: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 55155444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართი:
ქ. თბილისი, ი. მკვათის ქ. 7.
საქართველოს ინტერნეტი 66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
მარაბლის ქ. №7
ინტერნეტი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაძე
514 33-33-24
გამომცემი:
შპს „თანადრომა-ტაგოთ“
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორი“
რკინიგზის ჩიხი №20

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აღორჩეობთ მართალ სიტყვას!